

პოლიტიკა

სიხლავი: პარლამენტი პოლიტიკურ ფილმს იღებენ

სტენარის მიხედვით, მოქმედება პირველი რესპუბლიკის დარბაზში მიმდინარეობს და მასში, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის წევრების გარდა, სხვა დეპუტატებიც მონაწილეობენ.

A3

ეკონომიკა

"ქიმოქო" მიზანმიმართულად ბააკობრებს

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სააქციო საზოგადოება "ქიმოქო" გაკოტრების საქმე გახსნა. ეს წარმოება, უკვე რვა წელია, განგრეობულია. ამჟამად იქ მხოლოდ ორი სამუშაო მუშაობს, რომელიც "ინტერპაკისა" და "პეტრომანისათვისაა" იჯარით გადაცემული.

A4

უცხოეთი

თურქეთი ახალი პრემიერ-მინისტრის მოლოდინშია

თურქეთში ორი კვირის წინ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის ლიდერმა რეჯებ ერდოქანმა გუშინ ქვეყნის პრეზიდენტთან აჰმედ ნეჯდეთ ხენურთან მოლაპარაკებები გამართა. შეხვედრის მთავარ თემას თურქეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ახალი კანდიდატურის შეთანხმება წარმოადგენდა.

A5

საზოგადოება

"მთითაუფლად აღმართის ტაძრის ზიანი აქვს მოსახლას"

გუშინ, 15 ნოემბერს, კავკასიურ სახლში გაიმართა დისკუსია თემაზე "ჯიჰადი ისლამში: მისი ისტორიული და თანამედროვე ასპექტები". მომხსენებელი იყო თეოლოგი გიორგი ლობჯანიძე - ისლამური კულტურის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი.

A6

სამართალი

შეკრული წრე - მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციელი და დასაჩივრებელი

პოლიციელისთვის მკვლელობის ბრალდების თავიდან ასაცილებლად სამი სამართლებრივი ინსტიტუტის საშლიანმა შეთანხმებულმა მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. სისხლის სამართლის საქმე პოლიციის ლეიტენანტის ნოდარ აბულაშვილის მიმართ შეწყდა. არადა, მან სამი წლის წინათ 19 წლის ახალგაზრდა მოკლა.

A7

ანიმეი

თბილისი	16	☀
ქუთაისი	21	☁
ბათუმი	21	☀
სოხუმი	19	☀
ფოთი	21	☀
თელავი	14	☀
ზუგდიდი	21	☁
ბორჯომი	12	☀
ახალციხე	14	☀
ქობულეთი	17	☀
ბაზრა	19	☀
სამტრედიე	21	☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1900
ევრო	2.2025
გირვანჯა სტერლინგი	3.4680
რუბლი	0.0688

საქრებულომ ქალაქის მთავრობა გადააყენა

მიხეილ სააკაშვილი: "შევარდნაძის ხელისუფლებისგან თბილისის გათავისუფლებას წარმატებით ვინყებთ"



ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი - საკრებულომ მთავრობას კარისკენ მიუთითა.

პირველი თვე

"საკრებულოში ზოდელავას გადაყენებას ვითხოვთ, პარლამენტში - ჯორბენაძის წინააღმდეგ ვადღევთ ხმას, ქვეყნის მასშტაბით - პრეზიდენტის წინააღმდეგ, საკრებულო წარმატებით იწყებს შევარდნაძის ხელისუფლებისგან თბილისის გათავისუფლებას", - ქალაქის მთავრობის გადაყენების შემდეგ ასეთი დასკვნა გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა.

ვიდრე ქალაქის მთავრობის გადაყენების საკითხი დადგებოდა, მშრომელთა უფლებების დაცვის პარტიის თავმჯდომარემ ავთანდილ ტყეშელავამ მოითხოვა პარტიის სამი წევრისთვის უფლებამოსილების აღდგენა, მაგრამ სამანდატო კომისიამ ეს საკითხი, ჯერჯერობით (უზუნაუბარი) სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ლიდ დეტოვა.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, როცა გაირკვა, რომ საკრებულო თბილისის ვიცე-პრეზიდენტს დაბა წყნეთის გამგებელსა და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს უნდობლობას უცხადებდა, ხსენებული თანამდებობის პირთა უმრავლესობამ ნებაყოფლობით მოიხსნა უფლებამოსილება.

ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მუხრან მდივანმა, უფლებამოსილების მოხსნის შემდეგ, პრესასთან საუბარზე უარი განაცხადა. მისმა კოლეგამ დარჯანია კი აგვისხნა, რომ "დედაქალაქის შესახებ ვანონი, ახალი საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, არ ითვალისწინებს აღმასრულებელი ორგანოს ავტომატურად

ბაზრქალაზა A2 გვირგვინი

სანახაობა თუ მხარეთველობის არსებული სტილის აღტარება

დაკ კვსიტაძე

საკრებულოს სხდომა გუშინ საკმაოდ ქაოტური და არაორგანიზებული იყო. მიუხედავად ამისა, მთავრობის მთელი შემადგენლობის მიმართ უნდობლობის გამოცხადება და ამის რეალურად განხორციელება ოპოზიციის სერიოზულ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, რამდენი ხანი გაგრძელდება მერიაზე ქალაქის ხარჯზე გამდიდრებული ჩინოვნიკებს ტკბილი ძილი დაუფრთხო.

კუთრებით იმ ფონზე, როცა საკრებულოს წევრების ერთსულოვნებასა და თანამშრომლობას სიმყიფე უკვე გუშინვე ეტყობოდა. კომენტარი, რომელსაც გუშინ მერიის ნებაყოფლობით გადამდგარი თუ უნდობლობა გამოცხადებული ჩინოვნიკები აკეთებდნენ, ასეთი გახლდათ - ეს იყო დადგმული სანახაობა.

ბაზრქალაზა A2 გვირგვინი

ირევანი და ბაქო სამხედრო დანახარჯებს ზრდიან

აზერბაიჯანში მიმდინარე საომარი რიტორიკისა და მკვეთრად გაზრდილი სამხედრო დანახარჯების საპასუხოდ, სომხეთის მთავრობა მომავალ წელს სამხედრო ბიუჯეტის, დაახლოებით, 20 პროცენტით გაზრდას აპირებს.

რედაქტორი ბახტაძე

"თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის!" - როგორც ჩანს, სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას, ამ რომაული აფორიზმის შესაბამისად მოქმედებენ. ამჟამად სომხეთში 2003 წლის ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს. სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სერუჟ სარქისიანმა პარლამენტარებს მომავალი წლის ბიუჯეტში სამხედრო დანახარჯების მკვეთრი გაზრდა შესთავაზა. თუ სომეხი პარლამენტარები სარქისიანის წინადადებას მოიწონებენ, მაშინ სომხეთის სამხედრო ბიუჯეტი მომავალ წელს 80 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება. სამხედრო ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა სომხეთის ხელისუფლების შემოთავაზებულ მიუთითებს, რაც აზერბაიჯანთან მოუგვარებელი კონფლიქტითა და რეგიონში სამხედრო ბალანსის ცვლილებით არის გამოწვეული. სერუჟ სარქისიანის თქმით, აღნიშნული თანხა მის უწყებას შესაძლებლობას მისცემს, სომხეთის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა შეინარჩუნოს და გარკვეული პარამეტრებით გაზარდოს კიდევ. თუმცა, მას აღარ დაუკონკრეტებია, თუ რომელი მიმართულების გაძლიერებას აპირებს.

ბაზრქალაზა A5 გვირგვინი

ტაქსის მძღოლმა თავდასხმელები დახოცა

თბილისში ტაქსის მძღოლების დაყაჩაღების ფაქტები გახშირდა. მეტრცე, რამდენიმე დღის წინ ყაჩაღებმა მძღოლი მოკლეს. გუშინწინ კი ტაქსის მძღოლის გაძრვების მცდელობა თავდასხმელებისთვის საგალოოდ დასრულდა - მძღოლმა ორი მძარცველი მოკლა, ერთი კი მიიმეღ დაჭრა.

სოფიკო ჩხიტიანი

14 ნოემბერს, დაახლოებით, ღამის პირველ საათზე, გლდან-ნაძალადევის რაიონის პოლიცისა და პროკურატურაში შევიდა შეტყობინება, რომ ქსნის ქუჩაზე, რკინიგზის ლინდავის მახლობლად, ორი ადამიანის გვამი აღმოჩინეს. შემთხვევის ადგილზე გასულ საგამოძიებო ჯგუფს ერთ-ერთი ჯერ კიდევ ცოცხალი დახვდა. გულ-მკერდის არემი

ბაზრქალაზა A7 გვირგვინი

მოკლედ

თბილისი. "პარტნიორობა მშობლებისთვის" პროგრამაში სანჯვრო გადასახადის დაჯარიმება სქარათველოს მხრიდან 11 მილიონ ევროს აღწევს. როგორც ფურნალის-ტეტთან საუბრისას შეიარაღებული ძალების გენმტკაბის უფროსმა ჯონი ფირცხალიძემ ვიდეო განაცხადა, მეხუთე წელია, საქართველო ვერ ახერხებს "პარტნიორობა მშობლებისთვის" პროგრამაში ნილოზბრივი შენახანის ერთი პროცენტის გადახდას. აღსანიშნავია, რომ დაუფინანსებლობის გამო მიმდინარე ნელს ნატო-ს პროგრამის "პარტნიორობა მშობლებისთვის" ფარგლებში საქართველომ 24 დაგეგმილ ლონისძიებაში ვერ მიიღო მონაწილეობა, ეს მაშინ, როცა დახარჯული თანხის 80 - -ს ნატო უკან აბრუნებს. პარტნიორობის პროგრამის დასაფინანსებელი თანხები ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

ჯონი ფირცხალიძის თქმით, საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება პარტნიორ ქვეყნებთან წარმოუდგენელია სამხედრო ატაკების ნორმა-ლური ფუნქციონირების გარეშე, რაც გართულებული არსებული დაფინანსების ფონზე. "ნახევ მიზეზით ვერ ხერხდება ახალი სამხედრო წარმომადგენლების გახსნა", - დაძინა ფირცხალიძე. **კავკას-პრესი**



თბილისი. 20 ნოემბრიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დაიწყება სამშვიდობო ძალების როტაცია. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა ალექსანდრე ვეკტერმა.

მისი თქმით, როტაციის დროს სამშვიდობო ძალების კონტინგენტი 300 კაცით შემცირდება ჩრდილოეთის ზონაში რამდენიმე პოსტის გაუქმების ხარჯზე. მან თავი შეიკავა დაკონკრეტებისგან, თუ რომელი პოსტები შემცირდება და აღნიშნა, რომ ენგურ-პესის პირდაპირი კონტროლი დატოვდება ახალი პოსტის გახსნა. მისი თქმით, ეს გაკეთდება პესის თანამშრომელთა თხოვნით, რომლებიც მათი უსაფრთხოების აუცილებლობაზე მიუთითებენ. როგორც ცნობილი გახდა, როტაცია გაიმართება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაიკოის მოტომოსროლელთა ბრიგადის სამხედრო მონასახურების ხარჯზე. **კავკას-პრესი**



თბილისი. ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს.

როგორც ნათელაშვილი აცხადებს, პოლიტიკურ პარტიაში ლიდერობა იმის მათხმეულია, რომ მისმა ხელმძღვანელმა პრეტენზია უნდა განაცხადოს ქვეყანაში პირველი ადამიანის პოსტზე. სხვათაშორის, როგორც მან აღნიშნა, "პრეზიდენტობის ნეკროზით დაავადებული არამარტო პარლამენტის ექსპიკერი ზურაბ ფვანია, არამედ სხვებიც". შალვა ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ 2005 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მრავალი პოლიტიკოსი გამოთქვამს. "გაერთიანებული დემოკრატები" ლიდერმა ზურაბ ფვანიამ 1 ნოემბერს განაცხადა, რომ მისი პარტია გამარჯვებას მოიპოვებს 2003 წლის საპარლამენტო და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

პრეზიდენტობის კანდიდატებად, შესაძლოა, ასევე წამოყენებული იქნენ დემუტატი გუგუშვილი და იმერეთის გუბერნატორი თემურ მაშიაშვილი. **კავკას-პრესი**



მახაჩკალა. დაღესტანში, ხუნძახის სასაზღვრო რაზმის საგუშაგოს ერთ-ერთ მიმდევარს საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს.

როგორც რუსეთის ფედერლური სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონალური სამმართველოს პრეს-სამსახურის უფროსმა სერგეი ლევნიკოვმა განაცხადა, დაკავებულნი ცდილობდნენ საზღვრის არღვევას. დაკავებულნი და რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას. მისი თქმით, ამჟამად დგინდება დაკავებულთა ვინაობა და მათი შესაძლო კავშირი უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან.

ხუნძახის სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაზე საქართველოს ოთხი მოქალაქის დაკავების შესახებ ინფორმაციას, საქართველოს სასაზღვრო უწყებამ არ ფლობენ. როგორც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრეს-სამსახურის უფროსმა შალვა ლონდაროვიმ განაცხადა, ქართულ მხარეს რუსი კოლეგებისგან არანაირი ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია.

მისი თქმით, ამ ინფორმაციას არ ფლობს არც საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილო-კავკასიის რეგიონული სამმართველოს შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი კუტუგოვი. **კავკას-პრესი**



თბილისი. საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების გემგორ სწავლებებში "ფარი - 2002", რომელიც 18-19 ნოემბერს ფოთში გაიმართება, დაახლოებით 2 ათასი სამხედრო მონაწილეს მიიღებს მონაწილეობას.

როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის პრესმდიანი ნინო სტურუა აცხადებს, 11 ქართული მცურავი თავდაცვისა და შეტვის, მათ შორის, ზღვიდან დესანტის გადასხმის მოქმედებას დაამუშავენ.

სწავლებებში, ასევე, მონაწილეობას მიიღებს ავიაცია და სასაზღვრო ქვედანაყოფი, ხოლო სტურმის სტატუსით - თურქეთის სამხედრო საზღვაო ძალების ფრეგატი "ფატნი".

სწავლებებს, საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების სარდალი გიგლა ირემაძე უხელმძღვანელებს. საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების, ფოთის აკვადრობაში, 18-19 ნოემბერს დაგეგმილ მასშტაბურ მანერებთან დაკავშირებით, აფხაზეთის სამხედრო საზღვაო ფლოტი გადღივრებული საბრძოლო მზადყოფნაში მოქცავეს.

ამის შესახებ აცხადებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშვა. მისი თქმით, "სოხუმში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ საქართველოს ძალები ზღვიდან დესანტის გადასხმას დაამუშავენ". "ეს იმ სპეცოპერაციას შეესაბამება, რაზეც თბილისი ოცნებობს, რაც თავის მხრივ, აფხაზეთის ძალიანი მეთოდებით დაბრუნება", - თქვა ვალერი არშვამ. მან აღნიშნა, რომ ადრე აფხაზეთის წარმომადგენლებს მსგავს სწავლებებზე ინვესტიონ, დღეისათვის კი, ამის შესახებ არც ბტყობინებენ, რაც გარკვეულ შიშს იწვევს. **(პრამი-ნიუსი)**



თბილისი. უკრაინაში შეკეთებულ ქართულ არმიის სამ სამხედრო ვერტმფრენს, ფინანსურ პრობლემა გამო, ვერფრენით ვერ აბრუნებენ.

როგორც უკრაინაში საქართველოს საელჩოში აცხადებენ, ქართულმა მხარემ ვერ ვერ გამოიწვია სასრები, რათა შეეცდებინათ გავივლისწინებული თანხა ანაზღაურონ. საელჩოში თავი შეიკავებს საჭირო თანხების დასახელებისაგან და აღნიშნებს, რომ "მოცემულ პრობლემაზე მთლიანად არავის ვერ ვიცავს".

ასევე, საელჩოს ინფორმაციით, უკრაინაში, საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების კატარად შეაკეთეს, რომელსაც ახლი მომავალში დააბრუნებენ.

ამასთან, კატარის დაკავება ზღვის ღელის გამო მოხდა, - თქვეს საელჩოში. შეკეთების ხარჯებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ანაზღაურებს, რომელსაც მიმდინარე ნელს დაგეგმილ 40 მილიონ 521 ათას 400 ლარის ნაცვლად, სახელმწიფო ბიუჯეტშიდან 29 მილიონ 65 ათასი ლარი მიიღო. **(პრამი-ნიუსი)**

საქრებულო ქალაქის მთავრობა გადააყენა

პირველი გვარდიან

შეცვლას. მთავრობამ საკრებულოს ეს პრობლემა მოუხსნა.

ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესამე ვიცე-პრემიერი დავით ლვინიაშვილი წერევაბოლილი ჩანდა. "რა კომენტარი სჭირდება ამას, გადამდგარი ვარ", - განაცხადა აღვლეებულმა ლვინიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას. ჩვენი შეკითხვაზე - გაქვთ თუ არა მთავრობაში ხელახლა დაბრუნების იმედი - მან გვიპასუხა: "ყველაფრის იმედი მაქვს ცხოვრებაში. საერთოდ, ახლა ვინცე ცხოვრებას..."

საქალაქო სამსახურის უფროსები, რომლებმაც კენჭისყრამდე მოხსნეს უფლებამოსილება, გარეგნულ სიმშვიდე და იმარტუნებდნენ. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ საკრებულოს მისცეს შესაძლებლობა, აღმასრულებელი ხელისუფლება მისთვის მისაღები პირობით დააკომპლექტოს. გადამდგარი მთავრობის წევრები საკრებულოსთან შეთანხმებასა და კონსულტაციებს გამორიცხებენ. ნინასწარი პროგნოზით, გადამდგართა 60 პროცენტი ისევ დაბრუნდება ხელისუფლებაში.

ყველაზე დიდი ვნებათაღელვა პრეზიდენტის წინაშე დედაქალაქის მერის გათავისუფლების საკითხის დაყენებას მოჰყვა. გაუთავებლად გრძელდებოდა და, კენჭი ღია ნუსით ყვირათ თუ ვარულად, "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" ფარული კენჭისყრა მოითხოვეს. მერის უნდობლობის საკითხს ისინი დიდი ენთუზიაზმით არ შეხედრიან. "ერთი კაცის გადაყენებას რა აზრი აქვს, ეს არ ცვლის დედაქალაქის მმართველობის პრინციპს. ახალ მერს ისევ პრეზიდენტი დანიშნავს. დედაქალაქის შესახებ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება და მერის თანამდებობა არჩევითი გახდეს."

"დემოკრატების" ამგვარ გამოცვლას მოჰყვა ლეიბორისტების კულუარული შეფასებები: "დემოკრატები", რასაკვირველია, ზოდელავას უფროხილდებიან. მაგათ ვანო რომ არ დახმარებოდა, ადვილობრივ არჩევნებში ამდენ ხმას ვერ მოიპოვებდნენ. მაგონ, სააკაშვილიც გველავლებოდა..." თავად სააკაშვილმა, როცა საკრებულო იმაზე დავობდა, მერისთვის ფარული კენჭისყრით გამოცხადებინათ უნდობლობა თუ ღია ნუსით, ხმაგადაა განაცხადა: "ჩემთვის სულ ერთია, რას გადაწყვეტთ, მე მაინც თავს შევიკავებ". ლეიბორისტები იმასაც ამბობდნენ, რომ მათ გუშინ ზოდელავას კაბინეტში უსვლელი და იქიდან აღდგებულნი სახით გამოსული დავით ხუციშვილი დიანახეს.

შეცვლების მრავალგზის გამოცხადებისა და კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ კენჭისყრა ფარული იქნებოდა. 34-მა ხმა, ათის წინააღმდეგ, საკითხი დღემდე გადაწყვიტა, ანუ საკრებულომ პრეზიდენტის წინაშე დედაქალაქის მერის გადაყენების საკითხი დააყენა. ქალაქის საკანონმდებლო ხელისუფლებამ დედაქალაქის პრემიერის უნდობლობის საკითხიც დააყენა. თუ პრემიერის წინააღმდეგ საკრებულო



ზოდელავას იმპრინტის საკითხმა კულარებში ვნებათაღელვა გამოიწვია.



კენჭისყრაზე დემუტატიები უფრო ერთსულოვნები იყვნენ.

30 ხმას მოაგროვედა, ვანო ზოდელავასგან განსხვავებით, ვი შერამე ავტომატურად თავისუფლებოდა თანამდებობიდან. კენჭისყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პრემიერის იმპრინტს საკრებულოს მხოლოდ 22 ნვერი უჭერს მხარს (დავით ლვინიაშვილი ამ ფაქტს ტამისკვრით უხვდა). რატომ მოხდა ასე, მრავალი არაოფიციალური ვერსიის არსებობის მიუხედავად, ძნელი სათქმელია. სააკაშვილის თქმით, ამის მიზეზი "ყველამ თავის ფრაქციაში უნდა მოიკითხო". სხათა შორის, ემოციური სხდომის დამთავრების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე (როცა უურნალისტებმა მას "დემოკრატების" შესახებ ჰკითხეს) შეეცადა, სიტუაცია შეერბილებინა: "მერის უნდობლობის საკითხი დასმისას 'დემოკრატებს' განსხვავებული აზრი მხოლოდ პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით უკონდათ." თუცა, სააკაშვილმა იქვე აღ-

ნიშნა: "ჩვენ შევძლებთ 'დემოკრატებთან' საერთო ენის გამოხატებას". ცხადია, საკრებულოს თავმჯდომარე ამ შემთხვევაში "პროცესუალურ საკითხებზე" საერთო ენის გამოხატვა არ გაულისხმობდა. სააკაშვილის ინფორმაციით, მომავალ კვირას საკრებულო ხუთ გამგებელს გამოუცხადებს უნდობლობას. "ჩვენ კვლავ დაყავებთ პრემიერის უნდობლობის საკითხს. დარწმუნებული ვარ, მომავალში საკრებულო მეტ ორგანიზებულობას გამოიჩენს და პრემიერის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოახერხებს."

პრეზიდენტი რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მომავლის საქმეა. შეეფარდნაქვს, ალბათ, ვერ შეამინებს საკრებულოს თავმჯდომარის მუქარა: "თუ პრეზიდენტი ზოდელავას არ გაათავისუფლებს, შევარდნაქვს სერიოზული პრობლემა შექმნება."

ჯერჯერობით, მიხეილ სააკაშვილი მიღწეულით კმაყოფილია. იგი ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე საკრებულომ შევარდნაქვის მმართველობას თბილისში სერიოზული დარტყმა მიავიწია. რაც შეეხება ბომბს, იგი გუშინ, საბედნიეროდ, მხოლოდ ქალაქის მთავრობის წევრებისთვის "აფეთქება" საკრებულო დაცივის სამსახურის წარმომადგენლებმა და კინოლოგთა ჯგუფმა მეორის შემობაში ასაფეთქებელი ნივთიერება ვერ აღმოაჩინეს და საკრებულოს ესოდენ მნიშვნელოვანი სხდომა ჩაშლას გადაურჩა.

სანახოობა თე მმართველობის არსებული სტილის აღტარება

პირველი გვარდიან

რამდენად ახლოს დგას ეს კომენტარი რეალობასთან, სულ მალე, საკრებულოს მომავალ სხდომებზე გამოჩნდება. ოპოზიციის ერთსულოვნების პირველი სერიოზული კატალიზატორი კომისიების დამტკიცების პროცედურა გახდება, როცა პარტიებს პირად ამბიციაგება და ერთიანობის შენარჩუნება შორის არჩევანის გაკეთება მოუწევთ.

გუშინ საკრებულოს კულარებში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ზოდელავამ რამდენიმე კაცი გადამირება უკვე მოახერხა. ქალაქის მერი და პრემიერი აქტიურად რომ მუშაობენ საკრებულოს წევრებთან, ამის აშკარა დემონსტრირება მაშინ მოხდა, როცა ქალაქის პრემიერის, ვია შერადის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი 22-ზე მეტმა დემუტატმა არ დაუჭირა, რაც საკუთარ ძალებში დარწმუნებული საკრებულოს თავმჯდომარისთვის საგანგაშო ნიშანი უნდა იყოს.

გუშინ ძალიან აქტიუალური იყო კითხვა - რატომ გადადგა ნებაყოფლობით ქალაქის სამსახურის უფროსების უმრავლესობა? სააკაშვილის შიშით, თუ სხვა მიზეზის გამო? ბევრი ლაპარაკობდა იმის თაობაზეც, რომ თანამდებობიდან ნებაყოფლობით წასვლის იდეა თავისი გუნდის წევრებს თავად ვანო ზოდელავამ მი-



საკრებულოს უხუცესი წევრი და თავმჯდომარე პირველ გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს.

ანოდა. ლოგიკა მარტვიია: თანამდებობიდან თავის ნებით წასულ ჩინოვიკებს ზოდელავა ხელახლა წარადგინს დასამტკიცებლად და ფორმალურად გასასამართლებელი არ-

გუმენტიც ქენება, რადგან მათთვის უნდობლობა საკრებულოს არ გამოიწვია (ამის საშუალება საკრებულოს, უბრალოდ, არ მიეცა). ასე რომ, ქალაქის მერმა მანვე-

გუმენტიც ქენება, რადგან მათთვის უნდობლობა საკრებულოს არ გამოიწვია (ამის საშუალება საკრებულოს, უბრალოდ, არ მიეცა). ასე რომ, ქალაქის მერმა მანვე-

პირველი ლედი

თეთრი სახლი, ადმოსავლეთის ოთახი - პირველი ლედის ღიბარაბურული სალონი



ლაურა ბუში



ამერიკის პირველი ლედი თეთრ სახლში

მელორ სტარაა.
საქ. კორესპონდენტი
ახ. მინაპოლი

"ამერიკულ ლიტერატურაში პოლიტიკური არაფერია. ამიტომ, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი სიყვარული," - ეს აშშ-ს პირველი ქალბატონის, ლაურა ბუშის საკმაოდ თამამი განცხადებაა. სანამ მისი მეუღლე სარდაფის ტიპის "სიტუაციების ოთახში" ერაყის წინააღმდეგ ომს გეგმავს, ლაურა ბუში, აღმოსავლეთის ოთახში, პირველ სართულზე, ლიტერატურული სალონი აქვს გამართული. აქ თავს იყრიან მწერლები, რომლებიც საშინაო და საგარეო პოლიტიკისთვის მკაცრად აკრიტიკებენ პირველი ლედის ძვირფას მეუღლეს.

დევიდ ლუისს, რომელმაც უდიდესი ზანგი განმანათლებლის უილიამ დიუბუას ბიოგრაფიისთვის პულიტიკურის პრემია მიიღო, უკიდურესად გაუკვირდა, როცა ის ნიუ-იორკის პარლემის კულტურული ალორძინებისადმი მიძღვნილ სემინარზე, თეთრ სახლში, ძირითად მომხსენებლად მიიწვიეს. იგი, პირველ რიგში, იმიტომ გაოცდა, რომ თეთრი სახლი ზანგური კულტურით დაინტერესდა. მეორედ იმიტომ გაოცდა, რომ მომხსენებლად სწორედ იგი, - ბუშის ერაყული ავანტიურის მძაფრი გამაკრიტიკებელი - აირჩიეს.

არანაკლებ გაოცებული დარჩა ურსულა სმიტი, რომელიც, ძირითადად, ამერიკის შორეული დასავლეთის უბრალო მცხოვრებლებზე წერს. ისიც თეთრ სახლში, "ველურ დასავლეთზე", მწერალი ქალების სემინარზე მიიწვიეს. სმიტის განცხადებით, მას გაუჭირდა თეთრი სახლის ზღურბლის გადაბიჯება, რადგან ბუშს არ ეთანხმება ერაყის, გარემოს დაცვისა და მთელ რიგ სხვა საკითხებში. ყველაფერთან ერთად, სმიტი ლესოსოვლიცაა. წიგნის თანავტორი, ლინდა პიგი, ამავე დროს, მისი პარტნიორია. ლაურა ბუშმა ორივე მიიწვია. სტუმრებს შორის

ყველაზე გაოცებული იყო, აგრეთვე, პულიტიკურის პრემიის ლაურეატი, მარკ ტვენის სპეციალისტი, კრიტიკოსი ჯასტინ კაპლანი. დიდი მწერლისადმი მიძღვნილ სემინარზე კაპლანი მიიწვიეს იმის მიუხედავად, რომ მან პრეზიდენტს, მისი სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებების გამო, "ტროგლოდიტი" უწოდა.

დროდადრო, რა თქმა უნდა, ჯორჯ ბუშიც ხვდება მწერლებსა და ისტორიკოსებს. კანდიდატურებს სა-გულდაგულოდ არჩევს პრეზიდენტის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი კარლ რაუფი, რომელსაც აგრესიის გამო "გენერალი" შეარქვეს. როდესაც თავის პრეზიდენტთან უშვებს მხოლოდ იმ კალმონებს, ვინც მასთან უნისონში ფიქრობს და იდეოლოგიურად შეთავსებადნი არიან. თავის "პეტარკასგან" განსხვავებით, ყოფილი პედაგოგი და ბიბლიოთეკარი, ლაურა ბუში, სანაქებო იდეოლოგიურ სტრატეგიას ახორციელებს. იგი სულაც არ ცდილობს, პილარი კონსტიტუციის, "პოლიტიკური პირველი ლედი" გახდეს. ამიტომაც, თეთრ სახლში მან ერთობ სპეციფიკური ნიშა მოიხედა. გაუხმარებელი ლიტერატურული სალონის დასახლისი, ლაურა ბუში, პენსილვანია-ავენიუზე გამართულ წიგნის მცირე ნაციონალურ ფესტივალზე, პარლემის ალორძინების, მარკ ტვენის და "ველურ დასავლეთზე" მწერალი ქალებისადმი მიძღვნილ სამ სემინარ-სიმპოზიუმს თავმჯდომარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ლედის მიერ ჩატარებული აქცია მოვლენაა, მასმედისთვის ღია ეს ღონისძიება სათანადოდ არ გამოქვეყნდა, მით უფრო, რომ იგი, კალენდარულად, ავლანეთისა და ერაყის ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა.

მონაწილეთა შორის, პირველი ლედი ამ სიმპოზიუმებს სულაც არ აწყობს საკუთარი იმიჯის, ან მისი ქმრის პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილი კულტურული ელიტის თავის მოსაქონებად. თავიდათავი მისი ბიოგრაფიაა, რომელიც ჯერ კიდევ ბუშების პოლიტიკურ დი-

ნასტიკაში განვერიახებამდე შედგა. ამას სიმპოზიუმებში მონაწილე აუდიტორიის წარმოშობაც ადასტურებს. ესენი, ძირითადად, იყვნენ სტუდენტები და პირველი ლედის ძველი მეგობრები. თეთრ სახლში აკრედიტებული "ნიუ-იორკ თაიმისი" რეპორტიორი ელიზაბეტ ბაილერი წერს: "ეს არ არის ის საზოგადოება, რომელსაც შეუძლია, "სვეტურ" ვაშინგტონზე შთაბეჭდილება მოახდინოს და ყურადღება მიიპყროს". სიმპოზიუმის მონაწილე საზავგო მწერალი პატრიცია მაკლეიხენი კი წერს: "მსგავსი მოღვაწეობა კვებავს და ნაყოფიერს ხდის პირველი ლედის შინაგან სამყაროს, დამაჯერებელს ხდის მის "მე"-ს, ფესვებსა და ღირებულებებს". სემინარებში მონაწილე მწერლები ერთხმად აცხადებენ, რომ სემინარების დონე აკადემიური იყო, რომ, დისკუსიები ხშირად ცივდებოდა ლიტერატურას და ფემინიზმს, რასობრივ თუ კლასობრივ პრობლემებსაც ეხებოდა. მდიდრულ "ალმო-სავლეთის ოთახში" აქამდე არასდროს გაუღრებულა მსგავსი მოტივები. მაგალითად, კაპლანი ყვებოდა, კური ნიშა მოიხედა. გაუხმარებელი ლიტერატურული სალონის დასახლისი, ლაურა ბუში, პენსილვანია-ავენიუზე გამართულ წიგნის მცირე ნაციონალურ ფესტივალზე, პარლემის ალორძინების, მარკ ტვენის და "ველურ დასავლეთზე" მწერალი ქალებისადმი მიძღვნილ სამ სემინარ-სიმპოზიუმს თავმჯდომარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ლედის მიერ ჩატარებული აქცია მოვლენაა, მასმედისთვის ღია ეს ღონისძიება სათანადოდ არ გამოქვეყნდა, მით უფრო, რომ იგი, კალენდარულად, ავლანეთისა და ერაყის ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა.

როგორც წესი, პირველი ლედი სემინარებზე პირველ რიგში ზის და აქტიურად მონაწილეობს დისკუსიებში. ლაურა ბუში ამბობს: "სიმპოზიუმების სერია მარკ ტვენით იმით დაიწყო, რომ, ჩემი აზრით, ის პირველი ნამდვილი ამერიკელი მწერალია. ტვენი წერდა იმაზე, რაც ამერიკის ყველაზე მტკივნეული წერტილი იყო და ახლაც არის".

სემინარში მონაწილე ავტორთა შერჩევა პირველი ლედის ხელმეუბნული პრივილეგიაა. ასე, მაგალითად, "ველური დასავლეთისადმი" მიძღვნილი სემინარისთვის მან შეარჩია ედნი ფარმერის რომანი "გვანტი" (ამ წიგნის მიხედვით გადაღებული ამავე სახელწოდების ცნობილი ფილმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯე-

იმს ფინი, ელიზაბეტ ტილორი და როკ ზაღონი). რომანში (ისევე, როგორც ფილმში) მძაფრ სატირულ ფერებშია აღწერილი ტექსასელი მდიდრების ცხოვრება, განსაკუთრებით მათი, ვინც ნავთობით მილიონები იშოვა. შეგახსენებთ, რომ თავად ლაურა ტექსასიდან არის, ხოლო მამა-შვილმა ბუშებმა ქონება სწორედ ნავთობის ბიზნესით შეაკონინეს. უმცროსი ბუშის ენერგეტიკული პოლიტიკა დღესაც ნავთობის მონოპოლისტების კარნახით და მათი ინტერესების გათვალისწინებით ეწყობა.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის მოტივები, რამაც ლაურა ბუშს თვითონ ყოფილი ზანგური კულტურის აღორძინებისადმი მიძღვნილი სემინარის ჩატარებისკენ უბიძგა. ლაურა ბუში შეყვარებულია უდიდესი ზანგი პოეტის ლენგსტონ ჰიუზის შემოქმედებაში. იგი თავისი ხალხის სევდას უმალრდა და აქტიურად იბრძოდა რასიზმის წინააღმდეგ. ლაურა ბუშმა მონაწილეობის მისაღებად ამ ზანგი პოეტის ბიოგრაფია, სტენფორდის უნივერსიტეტის პედაგოგი, არნოლდ რემპერსედი მიიწვია. იგი ამბობს, რომ "პირველი ლედი სამყაროს შიგნიდან ხვდავს". ამის დასტურია შემდეგი სიმპოზიუმების თემებიც: ვილი კეტერისა და კეტერინ ენ პოტერის შემოქმედება. უფრო მოგვიანებით კი გაიმართება სიმპოზიუმი, რომელიც ემილ დიკენსონს, უოლტ უიტმენსა და სკოტ ფიცჯერალდს მიძღვრება. ამჟამად პირველი ლედი კომუნისტისა და უდრეკი სტალინელის, ასევე სტალინელის ცოლის, მწერალ ლილიან ჰელმანის ნაწარმოებებს კითხულობს. მწერალი, თავის ქმართან ერთად, მაკარტინისტული "ალქაჯებზე ნადირობის" მსხვერპლი გახდა. აი, ასე...

რა მშვენიერი იქნებოდა, სხვა ქვეყნების პირველმა ქალბატონებმა რომ ამერიკის პირველ ლედის მიზაძონ და საკუთარი ქმრების უმაღლური პოლიტიკის გზაზე გონიერება, სიკეთე და მარადიულობა თესონ.

პირველი ქალბატონებმა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



23 ნოემბერს 21.00 საათზე რეისტორან „დავით სარაჯიშვილში“




„ნიიჰ-სანტარი“ და „ორიფლამი“ წარმოგიდგენთ შემოდგომა-ზამთრის კოლექციის შოუ-რევენუას. დიზაინერები: ფუნსაცემელი—მადონა ხარატიშვილი ტანსაცემელი—ანა აბულაშვილი

გიორგობის აღსანიშნავად გიწვევთ: მირაბ სეაფილი ლულა წარაშვილი თამარ რსნილაძე ნუკრი ქაანაძე ქეთა თოფურია ჯგუფი ფორტა და ყველაზე კოვულარული „გიო“-მალბაჰ ქარივივილი.

ტელ: 53-69-11, 877 73-07-09, 899 28-96-53

პოლიტიკური ოვსი



რუსული web-გვერდიდან



ქართული web-გვერდიდან

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. **პლანა უფასოა.**

სამაგისტრო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაეცნოს მითითებულ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". მთავრი პირობაა, მონაწილეობაში მონაწილეობის გაცემის შემთხვევაში ან ანკეტის შევსებით თქვენს მონაწილეობაში მონაწილეობის შესაძლებლობა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაგისტრო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩებიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძმრები

მისამართი:

შვილები: (თუ ბავშვი)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონეტარო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

საგვარო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მითითებულ კატეგორიაში, რომელიც კარგად ირკვევთ, შეგიძლიათ უიქორით მონაწილეობა მონაწილეობაში, სურვილით კლასი "არსებულ" ან ცვლით მონაწილეობაში, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ ბავშვი)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისხარის თუ არა, პირდაპირ, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და რა დროს?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიყვართ საერთაშორისო ბარები და სარ?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად ნახვიდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად ნახვიდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საქონარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორი თქვენი საყვარელი მხარეა და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაც მოცდებოდა?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბიჯის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

გივიწყებთ ან გაგიკვირებთ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყოფთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპარულ პერსონაჟს უკავშირებთ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელი თქვენი საყვარელი ფილმებია?

გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მიტანა? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, რომელი და რა ადგილით?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სხვებით გაითქვინოთ "მთავარი სინათლე" მხარეები, ან ასაინტოვოთ მარაგობა ფოსტისთვის გაქვთ?)


ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენით თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საგვარო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცინ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?



გთხოვთ, დააყრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააყრათ ნებისმიერი ზომის, რო-მეღმეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.



პროზონი

საქართველოს სისხლოლოგიური სამსახური გადაიარაღდება

ეთარ მაკალაშვილი

მომავალი წლიდან საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის სისხლოლოგიის რეგიონული სამმართველო, თანამედროვე ციფრული აპარატურით აღჭურვება...

საქართველოს სისხლოლოგიური სამსახური, განსაკუთრებით, თბილისის წლებიდან აღიარებული მინისტრის შემდეგ, საველელო მდგომარეობაშია...

“ის აპარატურა, რომელიც დღეს ვუშაობთ, 70-იან წლებზე იყო გათვლილი და მამინ საქართველოს ობსერვატორიის ცენტრი ერთ-ერთ ძლიერ ქსელს წარმოადგენდა...”

ინგლისიდან, გერმანიიდან და იტალიიდან გამოწერილი ციფრული ტექნიკის ერთი ნაწილი სისხლოლოგიის რეგიონულმა სამმართველომ უკვე მიიღო...

თბილისის აპრილის მინისტრის შემდეგ, ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ, საქართველოში მოქმედმა რამდენიმე უცხოურმა ორგანიზაციამ და ბიზნესმენებმა...

სისხლოლოგიის სამმართველო “ახალი მემარჯვენეების” სპეციალური ფონდიდან მიღებული 34.000 ლარით სამი სისხლოლოგიური შეიძინა...

რამდენიმე თვის წინ სისხლოლოგიის რეგიონულმა სამმართველომ, ფონდი “ლია საზოგადოება - საქართველოს გან” გრანტის სახით 17.000 ლარით მიიღო...

ზურაბ ჯავახიშვილის თქმით, საქართველოში მოქმედი რამდენიმე საელჩოს (მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩინეთის) ინფორმაციით...

თვალსაზრისი

დედაინა გარდაიცვალა

ვილრი ფარულავა

მიმი და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დედაინა! უკიდურესად მწუხარება, რომელიც მისი მოულოდნელი სიკვდილით დაგვატყდა თავს ჩვენ, მის შვილებს...

ერთი სიტყვით, არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა, თუ რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ ამ ადამიანის ცხოვრება უფრო ლამაზი ყოფილიყო...

სწორად იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი არ ზრუნავდა ერთმანეთზე და მხოლოდ გამოყენებით ვიყავით დაკავებული, შედეგად მივიღეთ ის...

ეს გამოსამშვიდებელი წერილი, ძირითადად, ნარსულ დროშია დანერგილი. მაშინ, როდესაც დედაინა ცოცხალი იყო, სამივე დროს ვიყენებდით...

ენისკლა

მერყევი კავკასია - ბიზანტიურ ფილქანთა გზაჯვარედინი

ადამიანი სულ მალე მარსზე - სხვა პლანეტაზე დადგამს ფეხს. განათლებულმა კაცობრიობამ ძალიან ბევრი რამ იცის კოსმოსის შესახებ...



რუკაზე ჩანს, რომ სისხლოლოგიური სამსახური კავკასიაში და კავკასიონი.

ტური ფილქანებიც იძულებული არიან “იცურონ” ამ ლავაზე: ხან გასწვრივ, ხან ამოინიონ და ხანაც დაინიონ. ფილქანები მოძრაობენ ერთმანეთის მიმართ...

კავკასია ე.წ. კონტინენტური შეჯახების (კოლიზიის) ზონაა. აქ ერთმანეთს ეჯახება ორი კონტინენტური ფილა...

ფილაქანთა თეორიის მიხედვით, ჩვენი მთების წარმოშობა დაკავშირებულია კავკასიის და ალპების მთების წარმოშობის მიმართულებით და ეჯახება ევრაზიის ფილას...

საკმარისია ჩამოვთვალოთ უკანასკნელ წლებში მომხდარი მინისტრების და ევრაზიის მინისტრების შედეგად დატოვებული ბიზნესი...

დამა მინისტრამ, ოფიციალური მონაცემებით, 25 ათასი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო, დაახლოებით, 500 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. 1991 წლის 30 აპრილს რაჭისა და ზეგნის იმერეთში მომხდარმა მინისტრებმა 200 ადამიანი იმსხვერპლა...

ეწახით, როგორ აღწერს დავაიმი ალმაშენაშვილის ისტორიას 1088 წელს საქართველოში მომხდარ მინისტრებს: “ქვეყანაზე დამარცხების რისხვამ მოიწია იმ ცოდველის გამო...”

პირველი ნახევრი რამდენიმე წლის წინათ გადაიღვა - შეიქმნა ბაქო-სუფის ნავთობსადენი. პროექტის პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრებამ დასაბამი მისცა ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას...

სისხლოლოგიის ინსტრუმენტული პერიოდ კავკასიაში საკმაოდ ადრე დაიწყო. 1899 წელს რუსეთის იმპერიის კავკასიის ოლქში დაარსდა ტიფლისის სისხლოლოგიური ინსტიტუტი...


ბიოგრაფიული ბაზა

მინისტრა მსხვერპლის რაოდენობითა და დამანგრეველი მოქმედებით აღემატება ყველა სხვა ბუნებრივ კატასტროფას...


მე-20 საუკუნის სამოციან წლებამდე დედაინის ქერქში მიმდინარე პროცესები თითქმის უცნობი იყო. თითქმის უცნაურია, მაგრამ იმავე კოსმოსურმა კვლევებმა დააჩქარა ჩვენები პლანეტის წიაღის ბუნების შესწავლა...

იმის მიუხედავად, რომ ახლა დედაინა დაფარულია სისხლოლოგიის მთელი ქსელით, მის სიღრმეში უშუალოდ დაკვირვება განუძლებულია. ყველაზე ღრმა ქაბურღი 5 კილომეტრისაა ვერ აღწევს...

ფილაქანთა თეორიის მიხედვით, ჩვენი მთების მყარი ზედაპირი, ე.წ. ქერქი (ლითონიფიკაცია) შედეგად რამდენიმე დიდი ფილაქანსაა. მათი სისქე 50-100 კმ-ია...



ადრესს, სადაც ხდება რღვევა მინისტრის კერას უნოდებენ სინტროსო მინისტრათა განიწლება კერის სიღრმის მიხედვით მინისტრათა დაახლოებით 95% დედაინის ქერქში ხდება...



საქართველოს სისხლოლოგიური სამსახური, განსაკუთრებით, თბილისის წლებიდან აღიარებული მინისტრის შემდეგ, საველელო მდგომარეობაშია...



61 ნათია კუბაშვილი ააპი-8 174/69/69/90, თბილისი-თბილისი, თბილისი



62 ლიკა ლომინაძე ააპი-20 169/62/65/85, თბილისი-საბურთაქო, თბილისი



63 სოფო ლაქვიძე ააპი-8 168/61/66/88, თბილისი-საბურთაქო, თბილისი



64 თამუნა ნიშნიჭიძე ააპი-4 167/63/66/90, თბილისი-საბურთაქო, თბილისი



65 ნინო ხომერიკი ააპი-8 175/60/66/84, თბილისი-თბილისი, თბილისი



66 ნინო გვარამია ააპი-8 177/66/62/83, თბილისი-საბურთაქო, თბილისი

**თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში**

20-24-24
20-00-24

ნამყვანი IT კომპანია UGT, კომპიუტერული, მაიკროსოფტისა და სისკო სისტემების პარტნიორი, ინვესტირებს კანდიდატურებს მარკეტინგისა და მენეჯერების ვაკანსიებზე. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ ჩვენს ვებ გვერდს მისამართზე www.ugt.ge/jobs/index.html დამატებითი ინფორმაციისთვის.

BARRISOL

mondea ceilings

შრახველი და კულანგორი შრახველი ჩარჩო
კულანგორი მასიური პარკეტი

რემონტი, დიზაინი

პანკრაძის 74, მ-15-ი სართული, ოთახი 16
ტელ: 29-91-24

სულ გავი!

„კომპიუტერული მონტაჟის და რემონტის“
სერვისი „ლიტერატურა თანამედროვე კარგად-ლექსიკონის“
გთავაზობთ
მირიან ლომინაძე

ქართული ფოლკლორი
სამხედრო სახელმწიფო მემკვიდრეობის, მემკვიდრეობისა და
სამხედრო მემკვიდრეობის მემკვიდრეობისთვის!
(საინტერესოებს თქვენს კომპიუტერს)

თქვენი რეკლამა გაზეთში!

გაზეთი "24 საათი" და მოქალაქის საინფორმაციო ცენტრი წარმოგიდგინებთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო 2002

მონაწილეობის მისაღებად ინვალიდი
15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კონკურსის ფორმული პირობებია:
1. გაზეთი "24 საათი" 6 თვის განმავლობაში
და ინფორმაციის ცენტრში, სადაც განხორციელდება
მონაწილეთა შორის გამარჯვებულთა 35
გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით
მონაწილეთა შორის განსაკუთრებით
შესანიშნავი მონაწილეთა შორის განსაკუთრებით
შესანიშნავი მონაწილეთა შორის განსაკუთრებით
გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით.

1. მის ფოტო მოქალაქე 2002
2. თქვენი ფოტო მოქალაქე 2002
3. საკონკურსო საუბარო კონკურსი

კონკურსის მონაწილეთა მისაღებად მოგვამართებთ მისაღებად
15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.


მის ფოტო 2002 1 2 3 4 5 6 G

თქვენი რეკლამა გაზეთში!

ნაგალი "სალსინო"
ქართული ფოტოს სარეკლამო

თქვენი რეკლამა გაზეთში!

ნიკიტხეი და შვიტხეი ავტოტაქსი.



თამაზ ჩხენკელი

საქ. საზოგადოება

ბავშვობის მოგონებები ქუთაისის და დედისეულ ორსართულიან სახლს უკავშირდება, რომელიც კათოლიკეთა ეკლესიას ესაზღვრებოდა, დიდება და ზაქარია ფლიაშვილი ეკლესიის გუნდში ერთად მღეროდნენ, დედას ჯვარი ბიძამ, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის პატრმა - დონ გაბრიელმა დაწერა და მანვე კათოლიკური წესით მონათლა პატარა ძმისშვილიშვილი.

ერთხელ, მასწავლებელმა კლასს გამოუცხადა: ვისაც მშობლები გყავთ დაჭერილი, ყველანი ადექითო. ჯერ 3 ბავშვი ადგა, მერე 4, 5 და ასე, მთელი კლასი. ბავშვური სოლიდარობის ფასი 10 წლის ასაკში გაიგო, 1937 წელს.

მერე იყო ომი, წავთისა და პუერის რიგები. მამის გარდაცვალების შემდეგ კი ქალებთან ერთად ცხოვრებაზე უარი განაცხადა, მარტოხელა ბიძასა და მის ბიბლიოთეკას შეეჩვია, 15 წლისამ უკვე ზეპირად იცოდა მარიაშვილის "ქართლის ცხოვრება". ერთნაირი ინტერესით კითხულობდა ჯავახიშვილს, რობაქიძეს, არჩილ ჯორჯაძეს, "მეოცნებე ნია-

მორებს", "ილიონსა" თუ ენიკის "მოამბეებს".

მერე იყო უნივერსიტეტი, ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტები... იპოდრომზე თივაში ნაშრომლილმა, ზეპირად "თარგმნა" ომარ ხაიამის რობაი.

პირველი ლექსი 47 წელს დაიბეჭდა, პირველი თარგმანი ბოჩიუის ლირიკა გახლდათ, ამას მოჰყვა თავორის "გიტანჯალი" და "ბენგალია", ინდური ეპოსი "ბჰაგავატგიტა", რომლის თარგმნისას 650 შლოკაზე დანერვილი უამრავი გამოკვლევა დაამუშავა, ჰომეროსის "ოდისეა" ზურაბ კიკნაძესთან ერთად თარგმნა, დანტეს "ახალი ცხოვრება" - სონეტები და კანცონები ბაჩანა ბრეგვაძესთან ერთად. თარგმნა და წიგნად შეკრიბა აღმოსავლურ-დასავლური პოეზიის შედევრები ერთი პრინციპით: ეჩვენებინა "დროსა და სივრცეში განფენილი, ურთიერთისაგან დიდად განსხვავებული ცივილიზაციებისა და კულტურების წიაღში აღმოცენებულ პოეტურ სამყაროთა სუბსტანციური ერთიანობა"

(ამ წიგნს "მარიოტა" ჰქვია).

ეკუთვნის მეცნიერული გამოკვლევები: "მეფეთა ცხოვრება და თვლის შვიდობითი სისტემა" ქართული ანბანის შესახებ, ესეისტური წერილები: "ტრაგიკული ნიღბები", "მშვენიერი მძლევარი", "პოეზია - სიბრძნის დარგი", ჯერჯერობით ერთადერთი მომცრო პოეტური კრებული "მზე-ბუდობა" (გამოცემული 1980 წელს) და ახლახან გამოცემული ესეები "მწვანე ბივრიტი".


რაც ნაკითხეთ, ეს ყველაფერი თამაზ ჩხენკელის სამყაროს მხოლოდ მკრთალი ანარეკლია, ჩინური ლექსის თარგმანით ან იეროგლიფი - მედიტაციური სიღრმით.

არ ვიცი, რა ჰქვია იმას, როცა ლექსები, შენს სახელს რომ უკავშირდება, სხვისია, მაგრამ მათ არსებობას, ვნებას და სიღრმეს უშენოდ ვერავინ გაიგებს. ლიტმოდნე შედიდურად შემახსენებს, რომ ამას თარგმანი ჰქვია. კამათს აზრი არა აქვს. მხოლოდ ერთ "მონმეს" მოვუხმობთ - ფედერიკო გარსია ლორკას, ლექსით "სხვისი ცოლი".

"ეს სანტიაგოს, სალამოს მოხდა. თითქოს უეცრად და უნებურად ფარნები ჩაქრა და ჭრიჭინებმა აანთეს ღამე წინანდებურად. ბნელ შესახვევში მისი გულმკერდი მე გაგაღვიძე ხელის შევლებით და ძუძუები აყვავდნენ უცებ, ვით იასამნის თეთრი მტევნები, მისმა ხაბარდამ გახამებულმა შიშველი ტანი ველარ შეფუთნა და აშრილდა აბრეშუმივით, თითქოს დასერა ასმა ბებუთმა. დაუფერავნი ვერცხლის სევადით ხეები გახდნენ უფრო მალღები და ცის შორეულ პორიზონტივით მდინარის გაღმა ყვდნენ ძაღლები. როცა გამოვცდით მყუდრო მაყვლიანს და ყრუ ძეძვნარებს, მე სველ სილაზე გავშალე მისი დამძიმებული და მოვლვარე თმების სინაზე. მან შემოიხსნა წელზე სარტყელი და გაიხადა ჭრელი ფარაგი, მე მოვისროლე ამოქარბული ჩემი ჯუბაჩა და იარაღი. არც ვარდის ფურცლებს და არც ნიუარებს არა აქვთ კანი ისე ნატიფი და მთვარიანში ისე არ ბრწყინავს განათებული ყვითლად სათიბი.

გაღვებული სველი სინათლით და ასხლეტილი ცივი შეხებით, ბადეში გაბმულ კალმახებივით არ მიკარებდნენ მისი ფეხები. იმ დღეს სადაფის თეთრი ფაშატი, უბადლო გზებზე - შეუსვენებელი, უზანგებოდ და უაღვიროდ მე ვიჯირითე შმაგი ჭენებით. ნდომაკეთილი ჩვენი გაცნობა მამამს უსიტყვოდ და უქამანდოდ, და როგორც მამრს და ვაჟკაცს შეჰფერის არ ვიტყვი იმას, რაც მან გამანდო. როცა კოცნით და სილით მოსვრილი წყლის ნაპირიდან წამოვიყვანე, გზად ძეძვიანის მჭრელი დაშნები ბასრი შეხებით ჩხვლტდნენ სიღამეს. ვით ნამდვილ ბოძას შეეფერება მე უშურველი ვიყავ მისადმი - მრეში ატლასის დიდი ზარდახშა ვაჟუქე ერთი - ხელსაქმისათვის, მაგრამ მე იგი არ შევიყვარე, რადგან პასუხად სიტყვამისაგებს - არ მითხრა სხვისი ცოლი რომ იყო, როცა მიმყავდა მდინარისაკენ".

რანაირად შეიძლება, ეს მხოლოდ თარგმანი იყოს?!



...მოსამართლის მიერ განეული სამუშაო ერთის მხრივ ძალიან გამძლე და მეორეს მხრივ ძალიან ეფემერულია. რაც მასში რამ კარგია, დროს უძლებს. რაც მცდარი – ის გაქრობისთვისაა განწირული. ეს მასში არსებული კარგი იმ საფუძვლად გადაიქცევა ხოლმე, რომელზედაც ახალი სტრუქტურები შენდებიან. ცუდი კი - გადაგდებული და წლების ლაბორატორიაში სამუდამოდ მივინყებულია. ძველი დოქტრინა თანდათანობით საფუძველგამოცლილი ხდება. ხშირად მასზე ბზარები იმდენად ნელა ჩნდებიან, რომ მათი მნიშვნელობა თავდაპირველად შეუნიშნავი გვრჩება. უეცრად, და ჩვენთვის მოულოდნელად, აღმოვაჩინთ, რომ ლანდშაფტის კონტურები შეცვლილნი არიან და მივხვდებით, რომ დადგა დრო ძველი რუკების გვერდზე გადადებისა და მოსულა უამი ახალთა შესაქმნელად...

ბენჯამინ კარდოზო

**ა.შ.შ.-ს უზენაესი სასამართლო.
იეილის უნივერსტეტში
ნაკითხულ ლექციათა სერიიდან.
1921 წელი.**



ბაჟო-თბილისი-
ჭიჭანის
მილსადენის
მარშრუტი
იკვლავა E2

“მამოსადეადა”
გამზადებულნი E4

ცოტა რამ
ვალახის
მამონდარის
ინიციატივის
შესახებ E5

თავისუფალ
მესაკუთრეთა
მცირე
ბანკები E6

გლობალიზაცია:
ეკონომიკური
ნეო-
ლიბერალიზმის
ქრახი E9

ბუმის
ამერიკა -
ბიზნეს-
ამერიკა E10

საქართველოს
სამხედრო
ეკონომიკა:
განვითარების
ოხიქტური
და ხელოვნური
ბარბარები E11

ყველაფერი
საქართველოში
ფასიანი
ქაღალდების
შესახებ E14

„მაიკროსოფტის“
სასამართლოში
გამარჯვება,
შეიძლება,
მისი
ჰეგემონიის
დასასრულად
იქცეს E15

როგორ
დავკარგოთ
1 000 000 E16



ილია ჭავჭავაძე



ივანე მაჩაბელი

ბანკოვიადა

E7-8



სახელმწიფო ბანკის კანტორის საოპერაციო დარბაზი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტი იცვლება

"საუკუნის პროექტი" მარშრუტს იცვლის. ეს გადაწყვეტილება გარემოს დაცვის ქართველ თუ უცხოელ სპეციალისტთა დაჟინებული რეკომენდაციით არის ნაკარნახევი. როგორც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, თუ ერთი პროცენტით მაინც არის საშიშროება, ზიანი მიადგეს ბორჯომის გარემოს, მარშრუტი უნდა გადაიხედოს. მარშრუტის ცვლილება პროექტის განხორციელებას ოდნავ შეაყოვნებს. სამაგიეროდ, ბორჯომის უნიკალურ ხეობას დაბინძურების საფრთხე აღარ დაემუქრება.

მაია ურუშაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი, რომელსაც ყველაზე ხშირად "საუკუნის პროექტად" მოიხსენიებენ, 2,9 მილიარდი დოლარი ღირს. ამ თანხას მშენებლობისთვის მსოფლიო ბანკი და ევრობანკი გამოყოფენ. მილსადენმა აზერბაიჯანულ ნავთობს საქართველოსა და თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვისკენ უნდა გაუხსნას გზა. ოფიციალური ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედების შემდეგ საქართველო ყოველწლიურად 64 მილიონ დოლარ სატრანზიტო გადასახადს მიიღებს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გიორგი ჭანტურის ინფორმაციით, მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების 70 პროცენტზე მეტი საქართველოში საქართველოს რკინიგზის, ავტო და ავია ტრანსპორტის საშუალებით, ბათუმისა და ფოთის პორტების გავლით შემოვა. ერთ ტონა გატარებულ ტვირთზე საქართველოს შემოსავალი 25 დოლარი იქნება.

ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საგანგებო კომისიაც შექმნა. ის საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესის ხელშეწყობას გააკონტროლებს. კომისიას, რომელშიც მინისტრთა სრული შემადგენლობა შედის, თავად შევარდნაძე ხელმძღვანელობს, მოადგილეობას კი – სახელმწიფო მინისტრი უწევს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოპერატორი კომპანიის "ბი-თი-სი კო"-ს მიერ ტენდერის საშუალებით უკვე შერჩეულია ორი მშენებელი კომპანია: ფრანგული "სპი კაპაგი" და ამერიკული "პეტროვალკი". მშენებლობაზე საქართველოში 70 ათასი ადამიანი დასაქმდება. თუმცა, დასაქმება იქნება დროებითი – იმის მიხედვით, თუ რომელ რაიონში გადაინაცვლებს მშენებლობის მორიგი ეტაპი. მიწა, რომელზეც ნავთობსადენმა უნდა გაიაროს, "ბი-პიმ" მოსახლეობისგან მსოფლიო საბაზრო ფასით უნდა შეიძინოს. მოსახლეობაზე გაიცემა მინის საშიხის კომპენსაცია: მინის ღირებულების, მინის ნაკვეთზე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მიწაზე არსებული ქონების. "ბიპიმ" გამოსცა საგანგებო სახელმძღვანელო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენებისათვის.

ნავთობსადენის მშენებლობის პროცესშიც და, შემდგომ,

ოპერირების პერიოდისთვისაც, მილსადენის ოპერატორი კომპანია "ბი-თი-სი კო" მილსადენის უსაფრთხოების საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღებით ზრუნავს. საქართველოს ტერიტორიაზე გავალი ნავთობსადენის უსაფრთხოების დასაცავად საჭირო ფინანსებით საქართველოს მსოფლიო ბანკი და სხვა ფინანსური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ. დაფინანსების ნაწილი გათვალისწინებულია "წვრთნისა და აღჭურვის" სამხედრო პროგრამით, რომელსაც აშშ-ს მთავრობა აფინანსებს.

ნავთობსადენი ქვემო ქართლის რეგიონის რამდენიმე სოფელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და ბორჯომის ხეობაზეც გაივლის.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინიციატივით 22 ოქტომბერს ლონდონში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხოვაძე ესწრებოდნენ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ოპერატორს "ბრიტიშ პეტროლიუმს" ბუნების დაცვის ღონისძიებები დაუწინეს. მამუკა ხაზარაძემ მკვეთრად დააფიქსირა, რომ იგი მილსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლის წინააღმდეგ იყო. "სჯობს, მილსადენმა ბორჯომის ხეობას შემოუაროს და არ გაიაროს საქართველოს ამ უნიკალურ ნაწილზე. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, რომ ათას შვიდას კილომეტრიანმა ნავთობსადენმა მაინცდამაინც ბორჯომის ხეობის ოცკილომეტრიან მარშრუტზე გაიაროს. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ რეგიონის უსაფრთხოებისთვის "ბიპის" ძვირადღირებული ტექნოლოგიების გამოყენებას მოვითხოვთ", - განაცხადა მან შეხვედრაზე.

საკითხის შესასწავლად გარემოს დაცვის მინისტრს ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისია ("დაჩ-კომიშენი") ჰყავდა მონვეული. კომისიის წევრებმა ერთი კვირის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის თითქმის ყველა სახიფათო უბანი მოიხაზულეს. ისინი ახალქალაქის რაიონის იმ სოფლებშიც იმყოფებოდნენ, სადაც, ერთ-ერთი ადრეული მარშრუტის მიხედვით, ნავთობსადენს უნდა გაეწავლო. კომისიის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს პროექტზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელის, დიკ დე ზიუს განცხადებით, კო-



დიკ დე ზიუ

მისიამ განიხილა ნავთობსადენის სამხრეთ საქართველოს მონაკვეთის სამი ალტერნატიული ვარიანტი, მათ შორის, "ბიპის" მიერ უკუგდებული მარშრუტებიც. კომისიის დასკვნით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით შესწავლილი ვარიანტიდან, ბორჯომის მარშრუტი ყველაზე ნაკლებად სასურველია.

"დაჩ-კომიშენის" გარდა, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ეგიდით, ბორჯომის ხეობა ფრანგმა ექსპერტებმა შეისწავლეს. ეკოლოგების დასკვნები ერთმანეთს დაემთხვა. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ მილსადენიდან ნავთობის გაჟონვის შემთხვევაში, "ბორჯომის" წყალს "ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის" იმიჯი შეელახება, ბორჯომის უნიკალური ხეობა კი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმონძდება.

საქმე ისაა, რომ ბორჯომის ხეობაში ცხრანყარო-კოდინას მონაკვეთის გაჭრა, რაც მილსადენის გატარებისთვის აუცილებლად იყო მიჩნეული, ბორჯომის მინერალური წყლის წყალშემკრებ აუზს დააზიანებდა. ზედაპირული წყლების დაბინძურება კი, უბრალოდ, გარდაუვალი იყო. გარდა ამისა, საფრთხე ემუქრებოდა თავად "ბორჯომის" ბრენდსაც.

"საერთოდ, როდესაც საუბარია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტზე, მსოფლიო ბანკის, ევრობანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მოთხოვნით, სამი მარშრუტი მაინც უნდა იყოს განხილული. თან, ისეთივე სიზუსტით, როგორც "ბიპის" დოკუმენტში ბორჯომის მარშრუტი შეფასებული. ჩვენი რჩევით, საქართველოს გარემოს დაც-

ვის მინისტრმა "ბიპის" სამივე მარშრუტის შესწავლა მოსთხოვა. დღეს ჩვენ გვიჭირს სათანადო რჩევის მიცემა გარემოს დაცვის სამინისტროსთვის. 100-პროცენტული შეფასების გაკეთების საშუალება არ არსებობს იმის გამო, რომ სრული ინფორმაცია არ გვაქვს", - აცხადებს ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის წარმომადგენელი დიკ დე ზიუ. მისი განცხადებით, ახალქალაქის მარშრუტი ყველაზე მოკლე და იაფია. "ჩვენ თავად ვიყავით ახალქალაქის რაიონის იმ სოფელში, რომლის ტერიტორიაზეც ნავთობსადენმა უნდა გაიაროს და ადგილობრივ მოსახლეებს ვესაუბრეთ. კითხვაზე, სურთ თუ არა, რომ ნავთობსადენმა მათი სოფლის ტერიტორიაზე გაიაროს, ერთმნიშვნელოვნად დადებითი პასუხი მივიღეთ. მოსახლეების თქმით, ეს მათ დასაქმებს და მისცემს ფულად კომპენსაციას. ხოლო მეორე კითხვაზე, თუ როგორ ჰგონიათ, არის თუ არა ახალქალაქში ტერორიზმისა და საბოტაჟის რისკი უფრო მაღალი, შემდეგი პასუხი იყო: "რატომ უნდა იყოს ახალქალაქში ტერორიზმისა და საბოტაჟის ფაქტორები, თუ ნავთობსადენი შემოსავლის წყარო იქნება." ჩვენ გვჯერა, რომ ეს ყველაზე უსაფრთხო მარშრუტია. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ამბობს ამ მარშრუტზე უარს, მაშინ უპრინციპულია ვილაპარაკოთ მეორე – ყარაყაის მარშრუტზე", - განაცხადა დიკ დე ზიუმ "24 საათთან" საუბარში.


მიუხედავად ამისა, "ბიპი" მარშრუტის შეცვლის სასტიკი წინააღმდეგია. მარშრუტის შეცვლა მისთვის დამატებით ხარჯებთან და დროის კარგვასთან არის დაკავშირებული. ამავე აზრის არიან მილსადენის აქციონ-

ნერი კომპანიებიც. "დაამუშაო, ააშენო და განახორციელო ამ მასშტაბის პროექტი ისე, რომ გაითვალისწინო გარემოს დაცვის ყველა წერილობრივი, ეს, პრინციპში, შეუძლებელია. მესმის, რომ საუბარი უნიკალურ ნაკრძალზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის მარშრუტი, რომელიც უკვე დამტკიცდა, სწორად არის შერჩეული. მე არ ვიტყვი, რომ მარშრუტის შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ ამ მარშრუტს დიდხანს და გულმოდგინედ ვარჩევდით, ბოლოს კი ერთობლივად მივედით ამ გადაწყვეტილებამდე. იყო მრავალი ასპექტი და ფაქტორი, რამაც ამ მარშრუტის არჩევა განაპირობა. დღეს მარშრუტის შეცვლა ნიშნავს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებამ გაურკვეველი დროით გადაინიშოს – 2-3 ან მეტი წლით. ამაჲ კი, შესაძლოა, ნავთობსადენის მარშრუტის კიდევ უფრო გაძვირებამდე მივიყვანოს. არა იმიტომ, რომ უფრო ძვირი დაჯდება მილსადენის მშენებლობა, არამედ იმიტომ, რომ დრო, რომელიც იხარჯება, დიდი ფული ღირს. ახლა მარშრუტს ხელახლა დასჭირდება შესწავლა, დამტკიცება. ხელახლა მოგვიხდება ამ პროექტის განხილვა და შეთანხმება, არა მარტო ბანკთან, არამედ ყველა იმ ორგანიზაციებთან – გარემოს დაცვის თუ სხვა, ვისთანაც ერთხელ უკვე შეთანხმდა. ეს კი მთლიანობაში პროექტის დაფინანსებაზე და იმ ბანკთან ურთიერთობაზე აისახება, რომელმაც ამისთვის თანხები უნდა გამოყოს. ამიტომ, შემიძლება ვთქვათ, რომ მარშრუტის შეცვლა მიზანშეწონილი არ არის", - აცხადებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია "სოქარის" პრეზიდენტი, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნატიკ ალიევი.

თუმცა, გარემოს დამცველები არ შეუშინდნენ "საუკუნის პროექტის" შეყოვნებას და საკუთარი დასკვნები "ბი-თი-სი კო"-სა და საქართველოს მთავრობას წინ დაულაგეს.

საბოლოოდ, შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის ორი საშუალება გამოჩნდა. პირველი – მარშრუტის შეცვლა: ნავთობსადენის სამხრეთით გადაინაცვლების შემთხვევაში, პროექტი სამოცი კილომეტრით შემოკლდება და "ბორჯომსაც" სამიშროვება აღარ დაემუქრება. სამაგიეროდ, დაიკარგება დრო ახალი მარშრუტის შესწავლასა და დამტკიცებაზე, ეს კი, თავის მხრივ, დამატებით ხარჯებს გამოიწვევს. მეორე – მარშრუტი არ უნდა შეიცვალოს და პროექტი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების დამატებითი ზომების ხარჯზე გაძვირდეს, რაც ბორჯომის ხეობაში "ბიპიმ" დამატებით უნდა გაატაროს.

გარემოს დაცვის მინისტრმა მიიღო ქართველ და უცხოელ ექსპერტთა დასკვნები, სადაც ბორჯომის მარშრუტი ერთმნიშ-



მეორე გვირგვინი

ენელოგენად უარყოფილია. "მოსალოდნელი საფრთხის მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ნავთობსადენის ტრასის ალტერნატიული მარშრუტის მოძიება. ასეთ მარშრუტად ჩვენ მიგვაჩინია ყარაყაის მარშრუტი," – ნათქვამია დასკვნაში.

"დაჩ-კომპიშენის" ექსპერტები საქართველოში ვიზიტისას ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო და სამეცნიერო წრეების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ სპეციალური შეხვედრა ჰქონდათ საქართველოში აშშ-ს საელჩოშიც.

მიუხედავად გარემოს დამცველთა უარყოფითი შეფასებებისა, ამ ეტაპზე, როგორც ნავთობსადენის პროექტის ოპერატორი კომპანია "ბიპი", ასევე მისი პარტნიორები ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარებაზე გადაჭრით საუბრობენ. ერთადერთი სახელმწიფო ინსტანცია, რომელსაც ძალუძს ნავთობსადენის მშენებლობის პროცესზე გავლენის მოხდენა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროა.

"ჩვენი ამოცანაა, რომ პროექტს არა მარტო დღეს, არამედ შემდგომ – ოპერირების პერიოდშიც არ შეეხოს არავითარი კრიტიკა. საქართველოს გარემოს ნაკლები რისკი უნდა მიადგეს," – მიიჩნევს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე. საგარეუდოა, რომ ის "ბიპის" მილსადენის პროექტს ჯერჯერობით არ დაუმტკიცებს. ყოველ შემთხვევაში, მან ეკოლოგი ექსპერტების რჩევა უკვე გაითვალისწინა და მილსადენის ოპერატორ კომპანიას ალტერნატიული მარშრუტების დეტალური შეფასება მოსთხოვა.

შეგახსენებთ, რომ აზერი-ჩი-რაგ-გიუნეშლის საბადოზე, საინდენაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოპერატორმა კომპანიამ "ბი-თი-სი კო"-მ ნავთობის ტრანსპორტირება საქართველოს გავლით უნდა ანარმოს, BP (დიდი ბრიტანეთი) – 34,01 პროცენტს; UNOCAL (აშშ) – 10,05 პროცენტს; SOCAR (აზერბაიჯანი) – 10 პროცენტს; LUKOIL (რუსეთი) – 10 პროცენტს; STATOIL (ნორვეგია) – 8,6 პროცენტს; EXXONMOBIL (აშშ) – 8 პროცენტს; TPAO (თურქეთი) – 6,8 პროცენტს; Devon Energy (აშშ) – 4,8 პროცენტს; ITOCHU (იაპონია) – 3,9 პროცენტს; DELTA HESS (ამერანდა ჰესი – აშშ – 1,0 პროცენტი და დელტა ოილი – საუდის არაბეთი/ამერანდა ჰესი – აშშ – 1,7 პროცენტი) – 3,74 პროცენტს ფლობენ. თავად "ბი-თი-სი კო"-ს აქციონერები კი არიან BP (დიდი ბრიტანეთი) – 30,01 პროცენტი; SOCAR (აზერბაიჯანი) – 25 პროცენტი; UNOCAL (აშშ) – 8,9 პროცენტი; STATOIL (ნორვეგია) – 8,71 პროცენტი; TPAO (თურქეთი) – 6,53 პროცენტი; ENA (იტალია) – 5 პროცენტი; TotalFinaELF (საფრანგეთი) – 5 პროცენტს; ITOCHU (იაპონია) – 3,4 პროცენტს; INPEX (იაპონია) – 2,5 პროცენტს; CONOCOPHILIPS (აშშ-კანადა) – 2,5 პროცენტი და ITOCHU (იაპონია) – 3,4 პროცენტს.

აქვე ვთავაზობთ ინტერვიუს "დაჩ-კომპიშენის" ექსპერტთან დიკ დე ზიუსთან.

- თქვენ მყარად ასაბუთებთ, თუ რატომ უნდა თქვას უარი საქართველოს მთავრობამ ბორჯომის მარშრუტზე. რატომ ხდება, რომ პრიორიტეტი, რატომღაც, ყველაზე ცუდ პროექტს ეძლევა?
- საბოლოო გადაწყვეტილება

გარემოს დაცვის მინისტრს ჯერ არ მიუღია. ჩვენ ვახორციელებთ შედარებით შეფასებას: შესწავლის დროს ვაფასებთ სხვადასხვა მარშრუტებს. კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივით, რომ გარემოსდაცვითი კუთხით ყველაზე მისაღები ახალქალაქის მარშრუტია, ყველაზე ნაკლებად სასურველი კი – ბორჯომის.

რამდენად ზუსტია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მარშრუტის შერჩევისას გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლიტიკურმა ფაქტორებმა და საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების რჩევამ?

"ბიპი" ისე იყო ხელშებოჭილი, თითქოს ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული, ბორჯომის სამხრეთით არ გადაეხვია. მან ისიც აღნიშნა, რომ ყარაყაის მარშრუტის არჩევა წარმოუდგენელია. მინდა გითხრათ, რომ "ბიპი" ამჟამად ცუდ პოზიციაშია.

რაც შეეხება მეგობარი ქვეყნების რჩევას, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რითაც ჩვენ ჩვენი საქმიანობისას ვხელმძღვანელობდით, ისეთ ტერიტორიაზე, როგორც ბორჯომია, მილსადენის გატარებაზე არც უნდა იფიქრო. ჩვენ შევხვდით აშშ-ს საელჩოს. პირველად მათ ივნიში ვენვით. მაშინ გვითხრეს, რომ აშშ-ს მთავრობა საქართველოს ნაცვლად გადამწყვეტილებას ვერ მიიღებს, თუმცა პოლიტიკურ რისკზე დაინყეს საუბარი. მაშინ ისინი ამბობდნენ საქართველოს მთავრობის სიტყვებს, რომ ახალქალაქის მარშრუტი გამოუსადეგარი იყო.

ბოლო შეხვედრაზე კი მათ რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება: პირველი – რომ პროექტი უნდა განხორციელდეს და აშშ-ს მთავრობა დაეხმარება ამ პროცესს, როგორც შეუძლია. მეორე კი, მათ გვითხრეს, რომ აშშ-ს არა აქვს მისთ-

ვის საუკეთესო მარშრუტი შერჩეული. თუმცა, მათი აზრით, შერჩეული მარშრუტი სოციალური კუთხით გამართლებულია.

თქვენ შეხვდით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. რა თქვეს მათ, ნუთუ ახალქალაქის მარშრუტი ასეთი მაღალი პოლიტიკური რისკის შემცველია?

ჩვენ არ ვიცით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია. მათ ჩვენთვის ამ საკითხზე არაფერი უთქვამთ.

მაშინ გადავიდეთ "დაჩ-კომპიშენის" მიერ რისკების შეფასებაზე და ამით გავზომოთ ბორჯომის მარშრუტი.

ალბათ, არ ვიქნები სწორი ვთქვა, რომ მილსადენის ბორჯომის ხეობაზე გადატარებით მინერალური წყალი დაბინძურდება. მაგრამ სასმელი წყალი და ზედაპირული წყალი, გამოირიცხულია, არ დაბინძურდეს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ასევე წყაროს წყლის დაბინძურების საკითხიც.

რამდენად არგუმენტირებულად მოგეჩვენათ ფრანგი კოლეგების დასკვნა, რომელიც ლონდონში, ბოლო შეხვედრისას მოისმინეთ?

ჩვენ ვიცნობთ GGMW-ის მიერ დაქირავებულ ფრანგი კონსულტანტების ანგარიშს, ასევე მეცნიერებათა აკადემიის ანგარიშსა და ანგარიშს ბატონი ლოიდისა, რომელიც დაქირავებული იყო "ბიპის" მიერ. ეს არის სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ანგარიში. ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. "ბიპი" ამბობდა, რომ რისკი მინიმალურია. სხვა ორი დასკვნა ერთმანეთს ემთხვეოდა. ჩვენ მოვიწვიეთ დამოუკიდებელი ინსტიტუტები ჰოლანდიაში და შევისწავლეთ სამივე ანგარიში, რადგან თავისი ინტერესები პროექტში

აქვს როგორც "ბიპის", ასევე GGMW-ის. ორივე დასკვნის შესწავლის საფუძველზე ითქვა, რომ სიღრმისეული წყლები ნაკლებსავარაუდოა, რომ დაზიანდეს. თუმცა, რისკი ნულს არასოდეს უტოლდება. რაც შეეხება წყაროს წყლის დაბინძურებას, იქ დიდი რისკია, რომ ტექნიკის მუშაობა დაბინძურებას გამოიწვევს. ყველა დაეთანხმა იმას, რომ ზედაპირული წყლები აუცილებლად დაბინძურდება.

თქვენ ახალქალაქის მარშრუტზე თქვით, რომ ეს ბევრად მოკლე, უსაფრთხო და იაფი მარშრუტია. რამდენად იაფი და მოკლეა ის?

რაც შეეხება მანძილს, ის სხვა მარშრუტებზე დიდად მოკლე არ არის, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამ მარშრუტის არჩევა პროექტს გააიაფებს, რადგან ახალქალაქის მარშრუტზე სამშენებლო სამუშაოები უფრო იოლია.

თქვენ ახსენეთ, თითქოს "ბიპი" ხელშეკრულს ჰგავდა... მაინც, ვისგან?

დამატებითი შეფასებითი სამუშაოების ჩატარება "ბიპისთვის" ზღვაში წვეთია. ამავე დროს, ეს მისი ვალდებულებაა და თავის ტკივილი, რომელსაც არ უნდა გაექცეს. ჩვენი დასკვნა მივანოდეთ გარემოს დაცვის სამინისტროს, რომლის დასკვნაც აბსოლუტურად განსხვავდება "ბიპის" დასკვნისაგან. ჩვენი აზრით, სანამ ნებართვას გაცემ, უნდა დააკონკრეტო ის მოთხოვნები, რომელიც უნდა განახორციელოს ოპერატორმა. მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ ნებართვაში უნდა იყოს მოთხოვნა, რომ "ბიპი" წარმოადგინოს გარემოს მართვის, ასევე მონიტორინგის გეგმა, გადამწყვეტოს სოციალური საკითხები. რაც შეეხება ნებართვის გაცემას, ეს უკვე თქვენი მთავრობის საქმეა.

"ჩამოსწვრა" გამოადგულნი

ვალეები ყველა სხვა მახეს ჰგავს: მასში მოხვედრა სავსებით ადვილია, მაგრამ გამოსვლა საკმაოდ ძნელია.

ბერნარდ შოუ

ფული საუკეთესო საჩუქარია. სხვა დანარჩენი კი ძალზედ ძვირია.

უცნობი ავტორი

ვლადიმერ პაპავა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს კომუნისტური წარსულის სიმბოლოები მძიმე ტვირთად აწვება, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, და მათ შორის ეკონომიკაშიც, საკმაოდ მწვავედ ვლინდება. ამ პრობლემის ერთ-ერთ "წახნაგს" ვალეების (როგორც შიგა, ისე საგარეო) თემა წარმოადგენს.

პოსტკომუნისტურ საქართველოში ვალეების მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოქმნის მექანიზმის არსში გარკვევის მიზნით ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიის ძირითადი "ინსტრუმენტი" – "რუტინის" ცნება გამოვიყენოთ, რომლის ქვეშ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული წესები და ხერხები იგულისხმება, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწერასა და აღწერას ახდენს. წინამდებარე წერილში ჩვენ რუტინის მოცემული განმარტების "ჩარჩოს" ვაფართოებთ და მასში არა მარტო ფირმის, არამედ სახელმწიფოს ქცევის ჩამოყალიბებულ წესებსა და ხერხებსაც ვიგულისხმებთ.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ კონკრეტულ საზოგადოებაში ფირმისა და სახელმწიფოს "რუტინა" უმკაცრეს შესაბამისობაშია ერთმანეთთან, ანუ ერთიანობაშია, რადგანაც ერთი მეორეს განაპირობებს, და პირიქით. მიუხედავად ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით შემდგომში მივუთითებთ ფირმის თუ სახელმწიფოს "რუტინასთან" გვაქვს საქმე.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკურ სისტემაში ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული "რუტინა" ის მთავარი ფაქტორია, რომელიც საწარმოებს აძლევს იმუშაონ უკვე აღარარსებული კომუნისტური ტიპის ეკონომიკის რეჟიმში, რის შედეგადაც ამ საწარმოთა საწყობები მათ მიერ გამოშვებული კონკურენტუნარო პროდუქტითაა გავესებები, ხოლო ამ პროდუქტის რეალიზაციის პრინციპული შეუძლებლობის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის, სპეციალური ფონდების, ენერგეტიკული სექტორის, სხვა საწარმოთა მიმართ ვალეები გროვდება. ამასთანავე, საწარმოთა ურთიერთდავალიანების ჩახლართული ქსელიც იქმნება.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკურ სისტემაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, როცა საწარმო ვალეებს აგროვებდა (ხშირ შემთხვევაში შეგნებულადაც), მისი ხელმძღვანელობა სახელმწიფო ორგანოებში (კომუნისტური პარტიის მმართველ ორგანოებში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ფინანსთა სა-

მინისტროში) აყენებდა საკითხს მათი ჩამონერის შესახებ, სადაც, როგორც წესი, არავითარი წინააღმდეგობა არ ხდებოდა. ამიტომ ვალეების დაგროვება, როგორც ასეთი, მათი გარანტირებული ჩამონერის პირობებში საშიში სულაც არ იყო. ვალეების ჩამონერის ეს მექანიზმი საკმაოდ მყარად გამჯდარი "რუტინაა" და ის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესშიც, თავს ახალ – "საგადასახადო ამნისტის" საბურველში პერიოდულად "ამფლავსებს", რომელსაც, სამწუხაროდ, რეფორმატორობაზე პრეტენზიის მქონე ცალკეული პოლიტიკოსები აყენებენ და მხარსაც უჭერენ.

პრაქტიკულად ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში გადამწყვეტ როლს, როგორც წესი, ადამიანის ფაქტორი ასრულებს. იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ კონკრეტულად ვინაა ზემოსხედილი "რუტინის" მატარებელი, საჭიროა ჩვენი "კომუნისტური" წარსულის რამოდენიმე მომენტი გავიხსენოთ. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ როცა "რუტინაზე" საუბარი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ყურადღება მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლებზე იქნეს შეჩერებული: მისი ("რუტინის") მატარებელი არანაკლები წარმატებით შეიძლება ახალგაზრდებიც იყვნენ, რომლებიც სრულად "ჩაუნერებიან" მოცემული ფირმის, თუ სახელმწიფოს სისტემაში და ამ "რუტინას" გაითავისებენ.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებშიც კი საბაზრო ეკონომიკა (უფრო სწორად კი, მისი ცალკეული ელემენტები) სრულად გამორიცხული არ იყო, მაგრამ ის სახელმწიფოს მიერ იმდენად ძლიერად იყო დათრგუნული, რომ ძირითადად სპეკულაციის სახით მხოლოდ "ჩრდილოვან" სექტორში არსებობდა. კომუნისტური ტიპის ეკონომიკის საწარმოთა არცერთ დირექტორს (იმეხათი გამონაკლისის გარდა) პრინციპში არ შეეძლო ისე გაძლოდა საწარმოს, რომ არსებული კომუნისტური რეჟიმის მიერ დამკვიდრებული კანონები არ დაერღვია, რაც ცალკეულ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გამოყენებაში მდგომარეობდა და რის გამოც ეს საქმიანობა ე.წ. "ჩრდილოვან" სექტორს განეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში საწარმოთა დირექტორები საბაზრო ეკონომიკის ტიპის მენარმებულ ვერ ჩამოყალიბდნენ და პრინციპულად ვერც ჩამოყალიბდებოდნენ, რადგანაც მათი ქცევა კომუნისტური რეჟიმის მარწმულებში იყო მოქცეული.

ამით იმის ახსნა შეიძლება, რომ კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებში საწარმოთა დირექტორების საბაზრო ტიპის ქცევა "საქმოსნობად" (და არა "მენარმობად") იყო მონათლ-



ვლადიმერ პაპავა

კის ექსპერტების დახმარებით იქნა მომზადებული და რომელიც "პოსტსაქმოსნებისა" და "პოსტკომუნისტების" ინტერესებს ემსახურება. ეს უკანასკნელნი ყველაწიური ხერხით ცდილობენ გაკოტრებისაგან (რაც განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა) "მტრის ხატის" შექმნას. ამავე დროს, ხაზი ერთ გარემოებასა უნდა გაეკვას, გარდა იმისა, რომ ფაქტურად გაკოტრებული საწარმოსათვის ფუნქციონირების გახანგრძლივება უზარგისი მენეჯმენტის უცვლელი სახით შენარჩუნების ტოლფასია (რაც ამ საწარმოს განვითარების პერსპექტივას უსპობს), საწარმოთათვის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაგან პროცედურა თავისი ბუნებით კორუფციული ხასიათისაა, რადგანაც რესტრუქტურისაგან შესახებ თანხმობის პროექტის მომზადება, ამ პროექტში ვადებისა და სხვა პირობების გათვალისწინება სახელმწიფო მოხელეზე დამოკიდებულია. ამასთან ერთად, სხეულებული ძალები, როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთი წელია ცდილობენ საგადასახადო დავალიანების ჩამონერის მექანიზმი (ბოლო დროს უკვე ამ დავალიანებათა რესტრუქტურისაგან ფარგლებში) შემოიღონ.

ლი და ისინი "საქმოსნებად" (და არა "მენარმებებად") (რუსულად "дельцы", და არა "предприиматели") იყვნენ ცნობილინი.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მსხვერვის შემდეგ საქმოსნობა, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო სექტორში არსებულ საწარმოთა დირექტორებზე მოახერხეს დაჩინა, ხოლო მათი პრივატიზაციის პირობებში გამოიყენეს რა შრომითი კოლექტივების უფლებები, ამ საწარმოთა მესაკუთრენი გახდნენ; ამასთან, მიუხედავად იმისა ჰყავთ თუ არა დაქირავებული მენეჯერები, ისინი მაინც თავისი "საქმოსნური ქკუთი" ცდილობენ (განსაკუთრებით კოსტპრივატიზაციის პერიოდის სანყის ეტაპზე) საწარმოს გაძლოვას. ბუნებრივია, რომ ყოფილი საქმოსნები მენარმებები ვერ გახდნენ; სინამდვილეში მათ უდრო "პოსტსაქმოსნის" (რუსულად – "постдельцы", ინგლისურად – "Post-Deltsi", რადგანაც ეს მოვლენა უშუალოდ საბჭოური წარმომოშობისა) ტიტული შეეგნის.

ზემოხსენებული "რუტინა" "პოსტსაქმოსნის" ქცევითაა განპირობებული, რადგანაც კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი "რუტინა" ეკონომიკაში მათი საქმიანობის წესს წარმოადგენს.

"პოსტსაქმოსნები" სახელი-სუფლებო სტრუქტურებში (როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში) ძველი კავშირების გამოყენებით აღწევენ, საიდანაც (ხშირად ქვეცნობიერად) ცდილობენ კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი "რუტინის" არსებობას პოლიტიკური გამართლება მოუძებნონ და ამით იგი გაახანგრძლივონ.

ფირმის კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი "რუტინა" ხშირ შემთხვევაში სრულ შესატყვისობაშია პოსტკომუნისტური სახელმწიფოს "რუტინასთან", რამეთუ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა დიდი რაოდენობა, დაბალი ანაზღაურებისა და საქმიანობაში შემოქმედებითი ელემენტების სიმცირის გამო, ძველი

კომუნისტური რეჟიმის შესატყვისი სახელმწიფოს "რუტინის" მატარებელი ადამიანი, ანუ "პოსტკომუნისტია". "პოსტსაქმოსნები" და "პოსტკომუნისტები" კი პრაქტიკულად ერთ "ენაზე" მეტყველებენ და ერთ-მანეთის ინტერესებს აკმაყოფილებენ.

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი "რუტინის" აშკარად უარყოფითი ზეგავლენა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების, და კერძოდ, საქართველოს განვითარებაზე სახეზეა. აქედან გამომდინარე იმ მექანიზმის გამოვლენა და ამოქმედება აუცილებელია, რომელიც, თუნდაც ჯერ ფირმის ამ "რუტინის" გაქრობას უზრუნველყოფს.

რადგანაც კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი "რუტინის" მატარებელი ფირმები სახელმწიფოსა და სხვა კრედიტორების მიმართ ვალეების დაგროვების ხარჯზე არსებობენ, თეორიულად მისი ("რუტინის") მოსპობის ქმედითი მექანიზმი გაკოტრების შესახებ კანონთან უნდა იყოს დაკავშირებული. მართალია, საქართველოს, უკვე რამდენიმე წელია, რაც უცხოელი (კერძოდ, გერმანელი) ექსპერტების მიერ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შექმნილი და პარლამენტის მიერ მიღებული გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონი გააჩნია, მაგრამ ის სამწუხაროდ "მკვდრადშობილია": ამ კანონით ჯერ არცერთი ფაქტურად გაკოტრებული საწარმო იურიდიულად არ გაკოტრებულა. ეს კი იმით აიხსნება, რომ მოცემული კანონი ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციონალურ გარემოს და პოლიტიკაში მყოფი "პოსტსაქმოსნების" (რომ არაფერი ვთქვათ "პოსტკომუნისტებზე") ინტერესებს ვერ "შეერწყა". საქართველოს პარლამენტის მიერ ამ კანონის გამარტივების შემდეგ მის შესაძლო ამოქმედებას საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაგან კანონი აჩერებს, რომლის პროექტიც მსოფლიო ბან-

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი "რუტინის" გამოვლენის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს მოქალაქეების მიერ ქართული სახელმწიფოს უფასო დაკრედიტებაა, როცა სახელმწიფო მოსახლეობაზე გაუტყემელ ნლობით დაგროვილ ხელფასებსა და პენსიებს ფორმალურად ვალად არ სცნობს და არანაირი პროცენტის გადახდას არ აპირებს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტალინის ეპოქაშიც (და მეტწილად მამდივენი პერიოდებშიც) ხელფასების გაცივებისა და სხვა სახის მოჩვენებითი სამართლიანობის დამყარების მიზნით მოსახლეობას მომგებიანი ობლიგაციები ურიგვებოდა, ამ უკანასკნელთა განადგობა კი მაშინ დაიწყო, როცა ამ ობლიგაციების დიდი ნაწილი დაკარგული იყო და, რაც უფრო მთავარია, მათ მფლობელთა უმრავლესობა გარდაცვლილი იყო. დღესაც ამ ძველი "რუტინის" შესაბამისად დროზე მოუღებელი ხელფასისა თუ პენსიის მიღების ყველაზე "კარგი" (თუმცა, არა უტყუარი) გზა გარდაცვალებაა: გარდაცვლილის ნათესავებს ცოცხალზე უფრო მეტი შანსი აქვთ გარდაცვლილის კუთვნილი თანხები მიიღონ. სამწუხაროა, მაგრამ როგორც კომუნისტურ სახელმწიფოში, ისე პოსტკომუნისტურ საქართველოში მოუცემელი კუთვნილი ხელფასებისა და პენსიების მიღების ყველაზე ქმედით გზას მოსახლეობის "ჩამონერა" წარმოადგენს.

სამწინაო ვალეების "ჩამონერის" ფონზე ქვეყნის საგარეო ვალეებისადმი ანალოგიური დამოკიდებულება სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი.

სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების ინსტიტუციონალიზაცია

ალექსი ალექსიძე

მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის განხილვის პროცესში "მნიშვნელოვანი სიახლე" იყო ვალუების ჩამოყალიბების ინიციატივა, რომელიც მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა გამოიტანა საზოგადოების სამსჯავროზე. ასეთი ინიციატივები დროდადრო აღრეცხვებოდა ხოლმე, როცა ვალუების გადახდის დრო დგებოდა. სიახლით აღფრთოვანებულ სამთავრობო წრეებს და საზოგადოებას მალევე უნელდებოდა აღტყინება, როგორც კი მიხვდებოდნენ, რომ ვალუების ჩამოყალიბების საკითხი სულაც არ არის დამოკიდებული საქართველოზე და, მით უმეტეს, მის რომელიმე, არც თუ საქმეში კარგად გარკვეულ, მაღალი დონის მოხელეზე.

საგარეო ვალუების თემა მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია და უშუალოდ უკავშირდება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობებს, რომელიც სხვადასხვა კარგად ნაცნობი გარემოებების გამო არც თუ თბილი და კეთილგანწყობილია. ამას გარდა, ვალუების საკითხი ყველა საერთაშორისო საფინანსო, პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული ორგანიზაციის ზრუნვის საგანია, რადგან ასახავს განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობას და მათი განვითარების პერსპექტივებს.

როდესაც ვალუების ჩამოყალიბება საუბარი, პირველ რიგში ისმის კითხვა, რა ფორმით უნდა მოხდეს საქართველოს ვალუების ჩამოყალიბება. ძირითადად არსებობს ორი ფორმა. პირველი ეს არის ე.წ. დეფოლტის გამოცხადება, ანუ უარის თქმა ვალუების გადახდაზე. ასეთი რამ თავისთავად არ არის გამოირჩეული. ისტორიას სულ რამდენიმე შემთხვევა ახსოვს, მათ შორის 20 საუკუნეში სულ სამი: პირველი, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა უარი თქვა რუსეთის იმპერიის ვალუების გადახდაზე. მეორე, ნაცისტურმა გერმანიამ უარი თქვა ვალუების გადახდაზე. ორივე შემთხვევაში ამ ნაბიჯს შედეგად მოჰყვა ჩაკეტილი და გარე სამყაროსგან მოწყვეტილი ეკონომიკა. და მესამე, დიდი დეპრესიის დროს 30-იან წლებში განვითარებულმა ქვეყნებმა განსაკუთრებული პროტექციონისტული ზომები მიიღეს და ჩაუკეტეს საზღვრები იმპორტს. მათ შორის, განვითარებადი ქვეყნების პროდუქციასაც. განვითარებადი ქვეყნებმა ამ ზომებს უპასუხეს დეფოლტის გამოცხადებით. ეს მოვლენაც იმით ხასიათდებოდა, რომ რამდენიმე ქვეყანამ ერთად გადადგა ეს ნაბიჯი, რამაც აიძულა საერთაშორისო საზოგადოება, კრედიტორი ქვეყნების სახით, შერიგებოდა ვითარებას და კრიზისიდან გამოსვლის გზები მოეძებნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და ამ გადაწყვეტილებით მიღებული შესაძლო შედეგების



საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფისი ვაშინგტონში

მიხედვით ნაკლებად სავარაუდოა, საქართველომ ეს ნაბიჯი გადადგას. თუ რა შედეგებს მოგიტანს ეს, ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს. თუმცა, ამ საკითხს მაინც შეეხებით ცოტა ქვემოთ.

ვალუების ჩამოყალიბების მეორე შესაძლებლობა კრედიტორებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების გამართვაა. ამ უკანასკნელთა მხარდაჭერის გარეშე ნებისმიერი მცდელობაც კი განხორციელდება. რამდენად რეალურია კრედიტორი ქვეყნების მიერ საგარეო ვალის ჩამოყალიბება? მიმდინარე სიტუაციაში ეს არარეალურია. მით უმეტეს, თუ განვითარების ნიშნებით კრედიტორ ქვეყნებს. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს მევალებები არ არიან განვითარებული ქვეყნები, რომლებიც შედარებით უფრო იოლად მისცემდნენ საკუთარ თავს ვალუების ჩამოყალიბების უფლებას. მევალების ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებია. ამას ემატება რუსეთთან და სხვა ყოფილ "მოძმე" რესპუბლიკებთან არსებული არც თუ სახარბიელო ურთიერთობები.

მაგრამ გარდა ამ გარემოებებისა, არის კიდევ ზოგადი წესები, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოთაშორის სავალუტო ურთიერთობებისას და რომლის გარეშეც აღნიშნული პროცესი არ წარიმართება. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, თუ რა შემთხვევაში ჩამოიწვევება საგარეო ვალები. საგარეო ვალის ჩამოყალიბების საკითხი ერთი კონკრეტული ქვეყნისთვის თითქმის შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ხდება სტიქიური უბედურებით, ხანგრძლივი ომებით ან საერთაშორისო ფინანს-

სური კრიზისით გამოწვეული გადაულახავი პრობლემები. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ, სულ რამდენიმე კვირის წინ გამართული გარემოს დაცვის მსოფლიო ფორუმის მიერ მიღებული, გადამწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გლობალური დათბობის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებად მიჩნეულ იქნა ცენტრალური აფრიკის ქვეყნები და, შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებამ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, რაც გამოიხატება საერთაშორისო დახმარების გაზრდაში, მათ შორის, საგარეო ვალის შემცირებაში.

ვალის ჩამოყალიბების საკითხი დგება მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაუსტდება, რომ ქვეყანა გადახდისუუნაროა, ანუ არ გააჩნია არც ფინანსური და არც მატერიალური რესურსები ვალის გასტუმრებისთვის. საქართველო ამ კატეგორიაში საბედნიეროდ ვერ მოხვდება, რადგან მისი ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე ფინანსური შესაძლებლობები არსებობს და მხოლოდ მისი მობილიზება ვერ ხერხდება (სავალუტო სექტორი საკლები მთლიანი შიდა პროდუქტის 15 პროცენტსაც არ შეადგენს), ხოლო მატერიალურ აქტივები ძირითადი ობიექტების სახით ჯერ კიდევ საპრივატიზაციაოა. ამდენად, საკმაოდ რთულია ჩათვალო, რომ საქართველო გადახდისუუნაროა.

ანუ თუ საქართველო არ ითვლება გადახდისუუნარო ქვეყნად, მაშინ რა არის საქართველოს მხარის არგუმენტი? რატომ უნდა ჩამოაწირონ კრედიტორმა ქვეყნებმა ვალები საქართველოს? რა არის იმის პირობა, რომ საქართველომ არ გადაუხადოს ვალი, მაგალითად,

რუსეთს და უკრაინამ ან სხვა ქვეყანამ გადაუხადოს? ან რატომ უნდა აპატიოს ავსტრიის მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადებით დაფინანსებული ვალები ავსტრიის მთავრობამ საქართველოს? რა არგუმენტი უნდა მოიყვანოს საკუთარი მოქალაქეების წინაშე ავსტრიის მთავრობამ? ფაქტიურად არგუმენტი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს გადასახადების აკრეფას. სხვა რა შეიძლება იყოს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საგადასახადო შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის 15 პროცენტსაც ვერ აღწევს, მაშინ როცა საშუალო დონის განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი 25 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რომ აღარაფერი ვთქვათ განვითარებულ ქვეყნებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია ამ საკითხებში ძალიან მკაფიოა. ისინი არ დაუჭერენ მხარს საგარეო ვალუების ჩამოყალიბების საკითხს, თუ ეს არ ემსახურება ამ ქვეყნის საკრედიტო მდგომარეობის გაუმჯობესებას, რასაც სამწუხაროდ საქართველოზე ვერ ვიტყვით. რა არის საქრედიტო მდგომარეობა და რა დატვირთვა აქვს ამას ქვეყნის განვითარებისთვის? ეს ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ფაქტორია. ქვეყნისათვის ვალუების ჩამოყალიბება არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყანამ უარი უნდა თქვას საგარეო ვალუების აღებაზე საერთოდ და/ან ის მომავალში აღარ აიღებს ვალებს. თავისთავად ეს შეუძლებელია. განვითარებადი ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს საკუთარი საინვესტიციო რესურსები განვითარებისთვის საკმარისად არ გააჩნია. შესაბამისად ბუნებრივად დადგება საკითხი, რომ ისევ

ისესხოს. ამას გარდა, მას უკვე აქვს და მომავალშიც ექნება ვალები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან. რა გარანტიები არსებობს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ არ დადგება დეფოლტის გამოცხადების წინაშე? ამდენად საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მთავარია ქვეყნის საკრედიტო მდგომარეობა. ქვეყნისათვის ვალუების ჩამოყალიბების საკითხს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ემსახურება ამ ქვეყნის საკრედიტო მდგომარეობის გაძლიერებას, ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის დაძლევის. ამის დასადასტურებლად ქვეყანა უნდა დაამტკიცოს რეალური ნაბიჯები: - თავისუფალი საბაზრო სისტემისათვის საჭირო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის, ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისაკენ კორუფციის დაძლევის მიმართულებით.

ეს არის ძირითადი პირობა იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღებული ვალუების უძირო ქვეყნის პრინციპით ისევ არ გაუჩინარდება. სხვა შემთხვევაში საგარეო ვალუების შემსუბუქებას აზრი არ აქვს. უნდა ჩანდეს, რომ იმ თანხას, რომელსაც საქართველო აღარ გადაუხდის კრედიტორებს რეალურად მოახმარს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის დაძლევის და არა კორუფციის გაძლიერებას და სხვადასხვა ჯგუფების ფინანსურ ინტერესებს. სამწუხაროდ, დღევანდელი გადასახადებიდან ეს ასე არ არის და მით უმეტეს, ასე არ ჩანს.

ცალკე განხილვის საგანია ის, თუ რამდენად კარგია ქვეყნისთვის ვალუების ჩამოყალიბება ან დეფოლტის გამოცხადება. აქ არანაირი ღირსების საკითხი არ დგას (მით უმეტეს მომავალი თაობების), როგორც ამაზე საქართველოში მსჯელობენ. ეს ნმინდად ეკონომიკური საკითხია და ნებისმიერი განცხადებაც კი ვალუების გადახდისუუნარობის შესახებ, უარყოფითად მოქმედებს ოდნავ მაინც ნორმალური ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დეფოლტზე საუბარი ნიშნავს საინვესტიციო გარემოს მნიშვნელოვან გაუარესებას, რაც თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის უმთავრესი პირობაა.

საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა ცოტა სხვაგვარადაა. შექმნილი პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარების გამო საინვესტიციო გარემოზე საუბარი შეუძლებელიც კია (მით უმეტეს, უგზოუკვლოდ გაკეთებული განცხადებებით, საინვესტიციო გარემოს გაუარესებაზე მსჯელობა ღიმილის მომგვრელია), მაგრამ იგივე პრობლემა ამ შემთხვევაშიც წარმოიქმნება. ჩვენთან კერძო პირდაპირი ინვესტიციები არ შემოდის, მაგრამ შემოდის საერთაშორისო ორგა-



სახელმწიფო ბანკის კანტორა

ბანკოვიადა - პირველი საბანკო სკანდალი საქართველოში

“კრედიტი ორპირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამლუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება,” - ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. იგი მეცხრამეტე საუკუნის მინურულს ჩათრეული აღმოჩნდა “ბანკოვიადას” სახელით ცნობილ პოლემიკაში, რომელიც თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მომავალთან დაკავშირებით წარმოიშვა.

თბილისის სათავადაზნაურო-სამინათმოქმედო ბანკის დაარსების იდეა ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის ხანაში, მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში დაიბადა. ბანკის დაარსების ინიციატორად გამოვიდა თავადაზნაურობის იდეოლოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. იგი მაშინ თბი-

ლისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი იყო. სწორედ დიმიტრი ყიფიანმა ურჩია აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) თავადაზნაურობას ბანკის დასაარსებლად გადაედო იმ თანხის ნაწილი, რომელიც მან მთავრობისგან მიიღო ყმების გათავისუფლების საფასურად. თითოეული ყმის გათავისუფლებისათვის ქართველმა მემამულეებმა ხაზინიდან მიიღეს 25-დან 50 მანეთამდე ფული, რამაც, საერთო ჯამში, რამდენიმე მილიონი მანეთი შეადგინა. ყიფიანის რჩევით, ბანკის დასაარსებლად ამ თანხის ნაწილი გადაიდო.

დადგენილება ბანკის დაარსების თაობაზე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში გამოიტანა 1867 წლის 6 მაისს. თავდაპირველი თანხა, რომელიც თბილისის ბანკს საფუძველი ჩაეყარა, შეადგენდა 240.000 მანეთს. აქედან 80.000 მანეთი შეგროვდა თბილისის გუბერნიის შედარებით შეძლებული თავადებისა და აზნაურების მიერ, რომლებიც შეადგენდნენ ბანკის წევრ-დამაარსებლების პირველ კატეგორიას. 160.000 მანეთი ბანკს მეფის მთავრობამ გადასცა იმ თანხი-

დან, რაც ხაზინის მიერ გადაღებული იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობისთვის ჯილდოდ ყმების გათავისუფლების სანაცვლოდ.

მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, თბილისში ბანკი 1875 წელს ამოქმედდა. მომდევნო წელს კი ასეთივე ბანკი ქუთაისშიც გაიხსნა. ბანკის საკითხით თავიდანვე დაინტერესდნენ ქართველი დემოკრატი მოღვაწეები - თერგდალეულები. მათ მოახერხეს და თბილისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს თერგდალეულთა ლიდერი ილია ჭავჭავაძე, ქუთაისის ბანკში კი - მეორე აქტიური თერგდალეულთაგანი ბესარიონ ლოლობერიძე.

პირველი წესდების ძალით თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მოქმედების არე შეზღუდული იყო. ჯერ ერთი, მისი მოქმედების არე თბილისის გუბერნიას არ უნდა გაცლილებოდა. მეორეც, არ ჰქონდა უფლება, გამოეშვა გირავნობის ფურცლები 1.600.000 მანეთზე მეტი რაოდენობით. 1881 წელს ბანკის ხელმძღვანელობამ მოახერხა ბანკის ახალი წესდების დამტკიცება, რომლის ძალითაც ბანკს უფლება მიეცა თავისი მოქმედება გა-

ევრცელებინა, აგრეთვე, ქუთაისის, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებზე, ასევე სოხუმის სამხედრო განყოფილებაზე. 1891 წლიდან ბანკის მოქმედება ბათუმზეც გავრცელდა. იმავე პერიოდში, ბანკს გირავნობის ფურცლების საკუთარი შეხედულებისამებრ გამოშვების უფლება მიეცა. შემოღებულ იქნა ურთიერთთავდებობის წესიც, რის შედეგადაც ბანკის ოპერაციები საგრძნობლად გაფართოვდა. თუ 1881 წელს ბანკმა სამი მილიონი მანეთის სესხი გასცა, 1895 წელს გაცემული სესხების რაოდენობამ 15 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1894 წელს გაზეთი “ივერია” წერდა: “თბილისის ბანკი ბევრათ უფრო მცირე თანხით დაარსებული, ეხლა ფრთა გაშლილი და გაძლიერებულია; მისი წმინდა მოგება დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას და მომეტებულს უქადის კიდევ მერმისთვის, მაშინ როდესაც ქუთათური ბანკი, სამჯერ უფრო მომეტებულის თანხით დაწყებული, ეხლა სულზე დევს და ლამის ხელიდან გაგვიქრეს.”

თბილისის ბანკს ერთი თავისებურება ჰქონდა, რის თაობაზეც ილია ჭავჭავაძე თავის ავ-

ტობიოგრაფიაში აღნიშნავს: “მისი (ბანკის) ნიშნობრივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც კი სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მინათმფლობელთა, ე.ი. თავადაზნაურთა, არამედ მინათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით თბილისის სათავადაზნაურო სადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტის რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.”

თბილისის ბანკის თავისებურება მისი მოგების განაწილების წესში გამოიხატებოდა, როდესაც მთავარ მიზანს მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო ორგანიზაციების ხელის შეწყობა წარმოადგენდა. თბილისის ბანკის დამფუძნებლებმა ჯერ კიდევ წესდების შედგენის პროცესში მიიღეს გადაწყვეტილება,

გაბარძილება EB გვირდვა

გლობალიზაცია: ეკონომიკური ნეო-ლიბერალიზმის ქრახი

ლაშა გალოვანი

ბრეტონ ვუდსის ფინანსურ-ეკონომიკური რეჟიმის გაუქმებას 1970-იანი წლების დასაწყისში საპასუხო რეაქციად არ მოჰყოლია რაიმე მიზანდასახული პოლიტიკური რეფორმები. დასავლეთის განვითარებული ქვეყნები მანამდე მისდევდნენ ძველებურ ეკონომიკურ პოლიტიკას, სანამ 1980-იანი წლების დასაწყისში მართვის სადავეები ნეო-კონსერვატორებმა არ ჩაიგდეს. ჯერ მარგარეტ თეტჩერმა მოიგო არჩევნები ბრიტანეთში 1979 წელს, შემდეგ რონალდ რეიგანმა ამერიკაში, ჰელმუტ კოლმა გერმანიაში, ბრაიან მალრუნიმ კანადაში და ა. შ. ნეო-კონსერვატორები იმითი გამოირჩეოდნენ, რომ პოლიტიკაში კონსერვატიულ ღირებულებებს ეყრდნობოდნენ, ხოლო ეკონომიკაში კი ადამ სმითისეულ კლასიკურ ლიბერალიზმს. მათი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები გახლდათ ეკონომიკის მაქსიმალურად ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია და ომის შემდგომი კეთილდღეობის სახელმწიფოს რეფორმა.

საერთაშორისო ასპარეზზე წამყვანი ადგილი მოიპოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელსაც ასევე ნეო-ლიბერალური რეფორმების ჩატარება უნდოდა, ოღონდ განვითარებად ქვეყნებში. უკვე 1980-იანი წლების დასაწყისში განვითარებადი ქვეყნების საერთო ვალმა 750 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია. 1982 წელს მექსიკამ გამოაცხადა, რომ თავის საერთაშორისო სესხს ვეღარ მოემსახურებოდა, ე. ი. თავი ბანკროტად ცნო. მალე მექსიკას სხვა დიდი განვითარებადი ქვეყნები, არგენტინა და ბრაზილია მიჰყვნენ. ერთდერითი გზა ამ და სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის იყო ახალი ვალის აღება, რათა ძველი ვალის ნაწილი გაცესტუმრებინათ და რაღაც მომავლისთვისაც გადაედოთ. მაგრამ, მათ საერთაშორისო ბანკები და დასავლეთის მთავრობები სესხს არ მისცემდნენ, თუკი ისინი ფონდის რეკომენდაციებს არ გაიზიარებდნენ და სათანადო ეკონომიკურ რეფორმებს არ განახორციელებდნენ. ფონდის რეკომენდაციათა პროგრამა კი დამყარებული იყო ნეო-ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებზე. ეს პროგრამები ცნობილი გახდა სტრუქტურული გარდაქმნის ანუ მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის სახელით. მათი არსი გახლდათ სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირებიდან მაქსიმალურად ჩამოშორება, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მაქსიმალურად ლიბერალიზაცია, ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფ მუშაკთა რაოდენობის მაქსიმალური შემცირება, ეკოლოგიური დაცვის ნორმების შემსუბუქება, პრივატიზაცია, და მისთ.

განვითარებად ქვეყნებს სხვა რომ არაფერი დარჩენოდათ, ფონდს დაეთანხმნენ მკაცრი



ანტიგლობალიზისტა დემონსტრაცია

ეკონომიკის რეფორმების გატარებაზე. ამან კიდევ უფრო გააუარესა მათი ეკონომიკური მდგომარეობა და გაზარდა საგარეო ვალი. 1986 წლისთვის განვითარებადი ქვეყნების საერთო ვალმა ერთ ტრილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 1995 წლისთვის კი ერთ ტრილიონ 800 მილიარდს მიაღწია. 21 საუკუნეში განვითარებადმა ქვეყნებმა ორტრილიონიანი ვალით შეაბიჯეს.

განვითარებადი ქვეყნები ვალის სპირალში აღმოჩნდნენ. რათა ძველი ვალი გაისტუმრონ, ისინი ახალს ლებულობენ, შემდეგ კიდევ და ა. შ. ამიტომაც არის რომ აფრიკის ყველაზე ღარიბი ქვეყნები წელიწადში 10 მილიარდ დოლარს მარტო ვალის მომსახურებაზე იხდიან. ეს თანხა ოთხჯერ აღემატება იმ თანხას, რომელსაც იგივე ქვეყნები ჯანდაცვასა და განათლებაზე ხარჯავენ. იუნისეფმა შემდეგნაირად შეაფასა ეს სიტუაცია: განვითარებადი ქვეყნების ასობით ათასი ბავშვი თავისი სიცოცხლით ისტუმრებს საკუთარი ქვეყნების ვალებს. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნების ხელისუფალი იმხელა თანხების გადახდა უნევეთ ვალის მოსამსახურებლად, რომ ელემენტარული მედიკამენტებისა თუ გაჭირვებული ოჯახებისთვის საკვების შესაძენად ფული აღარ რჩებათ და ასობით ათასი ბავშვი ყოველწლიურად შიმშილისა ანდა ელემენტარული დაავადების მსხვერპლი ხდება.

აღსანიშნავია, რომ ფონდის მიერ მესამე სამყაროში ნეო-ლიბერალური რეფორმების დაწყების შემდეგ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებში ფაქტიურად ფულს აკეთებენ. ასე მაგალითად, 1994 წელს დასავლეთის ქვეყნებმა 165 მილიარდი დოლარით უფრო მეტი მიიღეს ღარიბი

ქვეყნებისგან, ვიდრე მათ მისცეს დახმარების სახით. არსებულ სიტუაციას ნათლად ასახავს შემდეგი ციფრები: როგორც ზემოთ ითქვა, 1982 წლისთვის განვითარებადი ქვეყნების ვალი 750 მილიარდ დოლარს შეადგენდა. 1982-1990 წლებში ამ ქვეყნებმა დასავლეთის ქვეყნებს გადაუხადეს 1 ტრილიონ 345 მილიარდ დოლარზე მეტი. მიუხედავად ამისა, მათი ვალი არათუ გაუქმდა ან შემცირდამაინც, არამედ 1990-იანი წლების დასაწყისისთვის ვალმა 1 ტრილიონ 500 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ფონდის რეკეპტებისა და ნეო-ლიბერალური რეფორმების თანახმად, განვითარებადმა ქვეყნებმა ეკონომიკის საექსპორტო სექტორის განვითარებაზე გაამახვილეს ყურადღება. რაც უფრო მეტ საქონელს გაყიდით უცხოეთში, მით უფრო მეტი შემოსავალი გექნებათ მყარ ვალუტაში, ეს გახლავთ ამ პოლიტიკის ლოგიკა. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ასეც მოიქცა და ამჟამად მათი უმრავლესობისთვის საერთო ეროვნული შემოსავლის 30 პროცენტზე მეტი ექსპორტს მოაქვს. შედარებისთვის, განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს წილი საშუალოდ 20 პროცენტზე ნაკლებია.

საქმე ის გახლავთ, რომ მზარდი ექსპორტი ყოველთვის მზარდ შემოსავალს არ ნიშნავს. მინოდების ზრდაზე ბაზარი რეაგირებას ახდენს და საქონელზე ფასები ეცემა. ყავა, მაგალითად, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ბევრი ქვეყნისათვის ძირითადი საექსპორტო პროდუქტია. ამჟამად კი ყავის ფასი საერთაშორისო ბაზარზე ისეთი იაფია, რომ ბევრი მენარმე ჩადებულ თანხასაც კი ვერ იღებს. ესეც რომ არ იყოს, დასავლეთის ქვეყნები სხვებს კი უკიჟინებდნენ ბაზრის ლიბერალიზაციას, მაგრამ თავად კი ბევრ საქონელზე ახლაც

აქვთ დაწესებული საიმპორტო ტარიფები და სხვა არა ტარიფული ბარიერები. ეს განსაკუთრებით შეეხება აგროსამრეწველო სექტორს, რომლის პროდუქციის ექსპორტზეც სპეციალიზდება ბევრი განვითარებადი ქვეყანა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნეო-ლიბერალურმა რეკეპტებმა ფინანსური გლობალიზაციის შედეგებში საშინელი შედეგები მოიტანეს. ძალზედ გაიზარდა ნაპრალი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. გაეროს მომაცემების თანახმად, აფრიკის ქვეყნებში საშუალო ოჯახი ახლა უფრო უარესად ცხოვრობს ვიდრე 1975 წელს. 1998 წლის მონაცემების თანახმად, განვითარებად ქვეყნებში 4.4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა. აქედან, ერთ მესამედს (1.46 მილიარდ ადამიანს) ხელი არ მიუწვდებოდა სუფთა სასმელ წყალზე. ერთი მეოთხედს, ანუ 1.1 მილიარდს არ გააჩნდა სახლ-კარი. ერთ მეხუთედს, ანუ 880 მილიონ ადამიანს ხელი არ მიუწვდებოდა სამედიცინო მომსახურებაზე. ამდენივე ადამიანი შიმშილობდა ან ნახევრად შიმშილობდა.

ზემოთ ითქვა, რომ დასავლეთის ქვეყნები ღარიბი ქვეყნების ხარჯზე ბლომად ფულს აკეთებენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნებში ეს მონაგები ღარიბი ხალხის კეთილდღეობას ხმარდება. ფინანსური გლობალიზაციის მარნუხები განვითარებულ ქვეყნებშიც იგრძნობა და იქაც იზრდება ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. 100 მილიონი ადამიანი დასავლეთის ქვეყნებში უსახლკაროა, ხოლო 40 მილიონზე მეტი კი უმუშევარია. შეერთებულ შტატებს შეუძლია დაიტრახოს ყველაზე დიდი შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, მაგრამ იმავე ქვეყანას ყველაზე დიდი ღარიბი მოსახლეობის ნაწილი ყავს დასავლეთის ქვეყნებს შორის.

ეკონომიკური ნაპრალი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის იმდენად დიდია, რომ შთაბეჭდილება იქმნება თითქოს-და განვითარებად ქვეყნებს კაცობრიობის პროგრესი არ შეხებია. ქვემოთ მოყვანილი გაეროს მონაცემები აღწერს, თუ როგორ ნაწილდება ზოგიერთი პროდუქტი კაცობრიობის უმდიდრეს მეხუთედს (20 პროცენტს) და უღარიბეს მეხუთედს (20 პროცენტს) შორის.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებში კაცობრიობის 19 პროცენტი ცხოვრობს, მაგრამ მათ წილზე მოდის მსოფლიოს ვაჭრობის საერთო მოცულობის 71 პროცენტი, პირდაპირი ინვესტიციების 58 პროცენტი და იმ ხალხის 91 პროცენტი, ვინც ინტერნეტით სარგებლობს.

ფინანსურ-ეკონომიკური გლობალიზაცია მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის გაღარიბებასა და უმცირესობის გამდიდრებას ნიშნავს. 1999 წელს მსოფლიოს 80 განვითარებადი ქვეყანაში ერთ სულზე შემოსავალი უფრო ნაკლები იყო ვიდრე 10 წლის წინ. ამჟამად საშუალო აფრიკული ოჯახი მოიხმარს 20 პროცენტით იმაზე ნაკლებს ვიდრე მოიხმარდა 25 წლის წინ.

მეორე მხრივ, მსოფლიოს 400-მა ყველაზე მდიდარმა ადამიანმა 1994-1998 წლებში ორჯერ და მეტად გაზარდა თავისი სიმდიდრე და მათი სიმდიდრის საერთო მოცულობამ ერთ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. მსოფლიოს სამი უმდიდრესი ადამიანის ქონება (სამივე ამერიკელია) აღემატება მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებისა და იქ მცხოვრები 600 მილიონი ადამიანის საერთო ეროვნულ შემოსავალს.

ასეთ სიტუაციას დემოკრატიულ ქვეყნებში რამე საპასუხო რეაქცია უნდა გამოეწვია და ასეც მოხდა. 1990 წლების მეორე ნახევარში დასავლეთის ქვეყნებში ძალა მოიკრიფეს სხვადასხვა იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიმართულების ჯგუფებმა, რომლებიც ერთი საერთო მიზნის გარშემო გაერთიანდნენ. ეს მიზანი გახლდათ ბრძოლა ფინანსურ-ეკონომიკური გლობალიზაციისა და მისი ეფექტების წინააღმდეგ.

ბუზის ამერიკა - ბიზნეს-ამერიკა

თორნიკე შარაშენიძე

პრეზიდენტი ბუში, ისევე როგორც ყველა ადამიანი, ბავშვობიდან მოდის, ოღონდ ერთი დამატებით – ჯერ ბავშვობიდან, შემდეგ კი - ბიზნესიდან. იგი ყოფილი ტეხასელი მენავეთობა. ეს კარგად უწყობს ამერიკელ კომპანიას ბოსებმა და ახლა, როცა რესპუბლიკურმა პარტიამ კონგრესის ორივე პალატაზე კონტროლი დაამყარა, მათ ყველანაირი უფლება აქვთ, პრეზიდენტს ეს ფაქტი შეახსენონ. ბუშს ახლა აღარაფერმა უნდა შეუშალოს ხელი იმ პროგრამის განხორციელებაში, რომლითაც იგი თავისი საარჩევნო კამპანიისას გამოდიოდა. პროგრამა, მოკლედ რომ ვთქვათ, რესპუბლიკურია. იგი ითვალისწინებს ბიზნესსათვის მაქსიმალურ ხელშეწყობას გადასახადების შემცირებისა და სხვა პრივილეგიების გზით. 2001 წლის ივნისში ბუშმა სენატზე კონტროლი დაკარგა და ამის გამო პროგრამის განხორციელება გადაიდო, მაგრამ ახლახან გასრულებული არჩევნების შემდეგ საქმიანი ამერიკის ოცნების განხორციელებას აღარაფერი უდგას წინ.

რესპუბლიკელთა ამ გამარჯვებით ყველაზე კმაყოფილნი ნავთობისა და გაზის მრეწველები უნდა იყვნენ. ახლა ისინი, ალბათ, ელირსებიან დიდი ხნის ნახტრ ნებართვას ალიასკის საზღოებზე “შავი ოქროს” მოსაპოვებლად. ასევე ბედის კმაყოფილნი არიან ფარმაცევტული კომპანიები, რომელთაც ყელში ამოუვიდათ საგანგებო დახმარების პროგრამა ხნიერი ხალხისათვის, რის გამოისობითაც ბევრ წამალზე ფასების აწევა არ ხერხდება.

კაცმა რომ თქვას, ყველა საქმიანი ადამიანი კმაყოფილი უნდა იყოს. ოღონდ, აი, ადვოკატებს ნამდვილად არ გაუმართლათ. საქმე ისაა, რომ ბუშის რეფორმების განხორციელების შემთხვევაში მოქალაქეებს გაცილებით უფრო გაუჭირდებათ საქმეების აღძვრა კორპორაციათა წინააღმდეგ. ეს გარემოება განსაკუთრებით თამბაქოს მწარმოებლებს გაახარებთ, რომელთაც 2000 წელს შტატებისათვის 269 მილიარდი დოლარის გადახდის მიუხედავად, მაინც არა აქვთ მოსვენება და, ლამის თვე არ გავა, რომ ახალი სარჩელი არ მიიღონ ნიკოტინისგან დასნეულებული მოქალაქეებისაგან (შეგახსენებთ, ახლახან “ფილიპ მორისს” სასამართლომ ასტრონომიული თანხის გადახდა დააკისრა).

კიდევ ერთი სექტორი, რომელიც ბუშის წყალობით იხიერებს, თავდაცვაა. თუმცა, ამისათვის სულაც არ გახლავთ საჭირო, რომ ერაყის მისამართით ტქმული მუქარა სიტყვებად არ დარჩეს. ვაშინგტონი ისედაც აპირებს მიმდინარე წელს თავდაცვის ხარჯები 50 მილიარდი დოლარით გაზარდოს. ზრდა ძირითადად უპილოტო თვითმფრინავ-



ტორკ ბუში

ვებს შეეხება, რაც დიდ თანხას ჩაუჩხრიჩავს “ბონინგს”, “ლოკჰიდსა” და “ნორსროპ გრამენს.” რეფორმების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ხაზინის მინისტრი პოლ ონილი გახლავთ, რომლის ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში მთელი საქმიანი სამყარო მოგებული იქნება. საქმე ისაა, რომ ონილი კორპორაციულ მოგებაზე გადასახადის შემცირებას (და თუკი შესაძლებელი იქნება, გაუქმებასაც) გეგმავს. მისი აზრით, ეს იმგვარ სტიმულს მისცემს ეკონომიკას, რომ, საბოლოო ჯამში, სამთავრობო შემოსავალი მნიშვნელოვნად აიწევს.

“ბიზნესისათვის ხელშეწყობის თეორია”, რომელიც პირველად რეიგანის პერიოდში გამოცადა, პრობლემებსაც უცილობლად შექმნის და სანცის ეტაპზე არნახულ საბიუჯეტო დეფიციტებს გამოიწვევს. მაგრამ მას შემდეგ, რაც 2001 წლის აპრილში ბუშმა პირად შემოსავალზე გადასახადის შემცირებით თავის მოქალაქეებს 1,2 ტრილიონი დოლარი შეუნარჩუნა, ძნელი სავარაუდოა, რომ ანალოგიური საჩუქარი მან თავის საქმიან მე-

გობრებს არ გაუკეთოს, რომელთანაც როგორც უკვე ვთქვით, ბავშვობიდანაა დაკავშირებული. შედავთი უპირველესად მცირე ბიზნესს შეეხება, რომლებიც პრეზიდენტის პროგრამის მიხედვით საერთოდ განთავისუფლებიან სამემკვიდრეო გადასახადისაგან.

ზემოთ ბუშის პროგრამას რესპუბლიკური ვუნოდეთ. მართლაც, დემოკრატებისაგან ამ პარტიას, ძირითადად, სწორედ ერთი ფაქტორი განასხვავებთ. ისინი მეტს ზრუნავენ ინდივიდუალურ თავისუფლებაზე და კერძო ინიციატივას მეტ გასაქანს აძლევენ, მაშინ როცა დემოკრატები ცდილობენ უფრო გაათანაბრონ საერთო შემოსავალი და ერთი ინდივიდის კეთილდღეობა სხვასაც გადაუნაწილონ. გადასახადების სწორედ ამ მიზანს ემსახურება: ფულის ამოღება ერთი ფენიდან - მეორე ფენის საკეთილდღეოდ. კორპორაციული მოგების გადასახადი ერთ-ერთი უპირველესია, რომელიც ამ მიზანს ემსახურება.

მაგრამ, ამავე დროს, ბუშს აუცილებლად ესაჭიროება საქმიან სამყაროზე მკაცრი კონტ-

როლის დამყარება. “ენრონისა” და “უორლდკომის” სკანდალების შემდეგ პრეზიდენტმა საჯაროდ აღუთქვა ქვეყანას, რომ კორპორაციულ თაღლითობას დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებდა. “ვინც აქციონერთა ხარჯზე გამდიდრებას შეეცდება, მისი ადგილი ციხეშია,” – განაცხადა ბუშმა, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სიტყვებად რჩება. პრეზიდენტის ამ უმოქმედობას საბოლოოდ ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარე შეენირა და სხვანაირად არც შეიძლება დაელოდოს. ჰარვი პიტი აუდიტორული სამყაროს ლობისტი გახლდათ – იმ სამყაროსი, რომლის კონტროლიც მას ევალებოდა. ამ პიროვნების გადაყენებით ბუშს შანსი მიეცა დაამტკიცოს, რომ მას კორპორაციებისათვის მხოლოდ შედავთები არ ემეტება და, საქმე საქმეზე თუ მიდგება, აქციონერის უფლებებსაც მკაცრად დაიცავს. საამისოდ ბუშმა კომისიის თავმჯდომარედ ავტორიტეტული პიროვნება უნდა დანიშნოს.

თუ ასე არ მოხდა... თუ ასე არ მოხდა, კორპორაციები, ცხადია, მაინც მშვენივრად იგრძნობენ თავს. რესპუბლიკელთა გამარჯვება - ეს მათი გამარჯვებაა და, ალბათ, მთელი ამერიკისაც. თავის დროზე რეიგანის ანალოგიური რეფორმების წყალობით აშშ-ს ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ბევრი ეკონომისტის მტკიცებით არნახულ ბუშს კლინტონის პრეზიდენტობისას სწორედ რეიგანის დროს ჩაეყარა საფუძველი – რომ არა 80-იანებში განხორციელებული რეფორმები (რასაც ბიუჯეტის დეფიციტები ახლდა თან), 90-იანების ბოლოს ამერიკას ამგვარი ეკონომიკური აყვავება არ დაესიზმრებოდა.

თუმცა, ეს მხოლოდ ეკონომისტთა ნაწილის აზრია და უფრო შორეული პერსპექტივაა. ახლო პერსპექტივაში კი საქმიანი სამყარო ერაყისაკენ იყურება და ცდილობს გათვალოს, რა მოხდება ომის დაწყების შემთხვევაში. ეს ხომ ერთადერთი რამაა, რის გამოც ბუშზე საქმიანი სამყარო, შეიძლება, განაწყენებული იყოს (ცხადია, სამხედრო სექტორის გარდა).

ექსპერტთა აზრი აქაც ორ ნაწილად იყოფა. ერთნი აცხადებენ, რომ ომი, ალბათ, ხანმოკლე იქნება, აქედან გამომდინარე მსოფლიო თითქმის ვერ იგრძნობს ნავთობის ნაკლებობას და გლობალური ეკონომიკა იოლად გამოძვრება. თუმცა, მეორეს მხრივ, აშშ-ს ფედერალური რეზერვების გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე იმას მოწმობს, რომ ამგვარ ოპტიმიზმს ბევრი არ იზიარებს, მათ შორის არც რეზერვების თავმჯდომარე, ამერიკის ინანსური გენია ალენ გრინსპენი, რომელმაც განაკვეთების შემცირების მთავარ მიზეზად სწორედ “ეკოპოლიტიკური გაურკვევლობა” დაასახელა. აქვე

ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბირჟები დიდად ვერ დაანყნარა რეზერვების ამ ნაბიჯმა – ომს ყველა შიშით ელის. ნავთობის დეფიციტი და მასზე ფასების აწევა ხომ საყოველთაო ინფლაციასა და პანიკას ნიშნავს, რასაც სამუშაო ადგილების შემცირება და ეკონომიკური ჩავარდნა მოჰყვება.

სუციალისტთა უმრავლესობა დიდი ხანია შეთანხმდა, რომ მომავალი წლიდან მსოფლიო ეკონომიკა ფეხზე დადგება. შარშან მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკის ზრდა ორი პროცენტი იყო, წელს ეს მაჩვენებელი 2,6 პროცენტზე ავა, გაიზარდა კი 3,6 პროცენტზე. მაგრამ ეს ერთი პირობით – ნავთობზე ფასის სტაბილური უნდა იყოს.

თავად ნავთობმოპოვებას ომი დიდი საფრთხეს მართლაც არ უქადის. საუდის არაბეთი ბოლომდე ამოშავებს თავის პოტენციალს და ერაყიდან სანჯავის ექსპორტის შეჩერება ისე მტკივნეული აღარ იქნება. სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ კი ერაყიდან ახლანდელზე უფრო დიდი რაოდენობით დაიწყება ნავთობის ექსპორტი. მაგრამ იმ მოკლე პერიოდში, როცა ნავთობის დეფიციტი საგრძნობი იქნება, მსოფლიო ეკონომიკამ ინფლაციისა და პანიკის გამოისობით შეიძლება საკმაოდ მძიმე დარტყმა მიიღოს, რასაც შემდეგ ნავთობის სიჭრბე დიდად ვერ უშველით.

კაცმა რომ თქვას, ამერიკას ეს ყველაზე ნაკლებად ანუხებს. ამ ქვეყანას უზარმაზარი ნავთობსაცავი გააჩნია და ბოლო დროს მან სანჯავის ახალი ალტერნატიული წყაროები გამოიხა აფრიკული და ლათინურამერიკული ქვეყნების სახით. უფრო მეტად დაზარალდებიან ევროპა და, განსაკუთრებით, იაპონია, რომელსაც საკუთარი ნავთობის საერთოდ არ გააჩნია და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. თუმცა, მათაც 70-იანი წლების სანავთობო კრიზისის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, რათა “შავ ოქროზე” იმდენად აღარ იყვნენ დამოკიდებულნი. ასე რომ, ომი სერიოზულად ისევ განვითარებად სამყაროს დაახარალებს.

ასე რომ, აშშ-ს ალბათ უღირს ის მცირე პანიკა, რომელსაც ომი დასთესს. ვაშინგტონი საბოლოოდ მოიშორებს სადამის რეჟიმს და ბოლოსდაბოლოს ახსნის ყადაღას ერაყულ ნავთობის საზღოებს, რომლებიც საუდეთის შემდეგ ყველაზე მდიდარია მსოფლიოში. იმ ხეივანზე, რომელსაც ამ ომიდან ამერიკული სამხედრო მრეწველობა ნახავს, ალბათ, საუბარი აღარ ღირს.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბუში ახლა მეტად პოპულარულია თავის ქვეყანაში და, წესით მომავალ არჩევნებში სერიოზული კონკურენტი არ უნდა ჰყავდეს, ეს ყოველივე, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, შეგვიძლია 2004 წლის იქით, კიდევ ოთხი წლით განვავრცოთ.

საქართველოს სამხედრო ეკონომიკა: განვითარების ობიექტური და ხელშეწყობილი ბარიერები



ქართული არმია სადარაჯოზეა

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში მეთოდურად მკვიდრდება აზრი, რომ მეცნიერება სინამდვილისაგან განყენებულად არსებობს, მეოცნებეთა საქმიანობაა. ასეთი მიდგომა და საზოგადოების მიერაც მისი დაჯერება მწარე ტრაგედია.

ვლადიმერ პაპავა

მანია ქიზარიშვილი

ქართული ჯარი 10 წლისაა, ანუ იმდენის, რამდენისაც დამოუკიდებელი საქართველო. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საჭირო გახდა ეკონომიკის დამოუკიდებლად მართვა. ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე წარმოდგენა მაინც არსებობდა (ყოველ შემთხვევაში, იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერები, ეკონომისტები, რომლებიც საბჭოთა პერიოდშივე მუშაობდნენ ამ საკითხებზე). ჯარში სრულიად საპირისპირო სურათი იყო: არავის სჭირდებოდა რაიმეს შეცვლა, ისედაც სიბო და სიმძლავრე იყო საკუთარი "კრიშით" გადახურულ და ჩაკეტილ, შეუღწევად ხაკისფრად შეღებულ საბჭოთა, რომელსაც სამხედრო ეკონომიკა ერქვა. ასე გაგრძელდა 1997 წლამდე. ამ წელს აშშ მთავრობის მხრიდან დახმარების პირველი

მცდელობა სწორედ სამხედრო ეკონომიკას შეეხო - თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტიდან ორი ექსპერტი მოავლინეს. შემთხვევითი არ იყო მიზნად თავდაპირველად სწორედ ამ სფეროს რეფორმირების დასახვა. როგორც იმ დროს იყო მოსალოდნელი, ხელშეწყობის მაგივრად ექსპერტებს აუტანელი სამუშაო პირობები შეექმნათ: ადგილზე ვერ ჩამოყალიბდა მუდმივი, სტაბილური სამუშაო გეგმა, რომელიც თანმიმდევრულად განახორციელებდა მათ რეკომენდაციებს. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას არც უცდია, გარკვეულიყო რეკომენდაციების ავ-კარგში. ერთი იყო ცხადი, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ დადარაჯებულ იყვნენ: პროგრამა თავდაცვის ხარჯების დაგეგმვასა და ანალიზს, ანუ გამჭვირვალობას უნდა მომსახურებოდა. გაჩნდა ჩუმი აგრესია და უნდობლობა, ამით მოხდა დისკრედიტაცია და, როგორც ეს ჩვენში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე,

პროგრამა შეჩერდა. მხოლოდ 1999 წელს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ოფიციალური თხოვნით მიმართვის შემდეგ განაახლა აშშ თავდაცვის დეპარტამენტმა აღნიშნული პროგრამა. სწორედ ეს წელი შეიძლება ჩაითვალოს ქართული სამხედრო ეკონომიკის დაბადების წლად. იმიტომ, რომ მუშაობის შედეგად თავდაცვის სამინისტრომ 2000 წელს წარუდგინა მთავრობას განსახილველად 2001 წლის პირველი პროგრამული სამხედრო ბიუჯეტის პროექტი. თუმცა, ერთეული გამოწვევისი შემთხვევების გარდა, იგი პოლიტიკური ავტორიტეტების საწერი მაგიდების უჯრებში დარჩა, სამსჯელოდაც არ გაუხდიათ! დამოკიდებულება ისევ ჩვეულად გამოიხატა: რა დროს მეცნიერება და ექსპერიმენტებია, თუ ძმა ხარ! აქაც დადარაჯება იყო "რალაც ცუდის" მოლოდინში თუ უბრალო დაუდევრობა? ამაში გასარკვევად თვით სისტემის შინაარსს ვთავაზობთ. თავდაცვის დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტის შედგენისა და ანალიზის სისტემა (შემდგომში-სისტემა) გულისხმობს თავდაცვის რესურსების მართვის ერთიან ციკლს. სისტემაში თავისთავად აისახება და ჩნდება

რეფორმირების პროცესის ყველა ნაკლი და დადებითი მხარე, დასახული ცვლილებები, რასაც ვერ აღწევს ან აღწევს ქვეყნის თავდაცვის სფერო. ხშირად მომავალი დადებითი ცვლილებების საწყისი სწორედ ამ სისტემის ანალიტიკური შესაძლებლობები გახდნა. თავდაცვის რესურსების მართვა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს სრულფასოვანი საინფორმაციო ბაზის შექმნას. საჭირო იყო ინფორმაციის კონცენტრაცია თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული მოწყობის შესახებ, პირადი შემადგენლობის საშტატო და სიობრივი რიცხოვნობის, შეიარაღებისა და ტექნიკის საშტატო და სიობრივი რაოდენობის შესახებ. ძირითადად ეს იყო ის მტკივნეული ადგილი, რის გამოც 1997 წელს პროგრამა დასაწყისშივე აღმოჩნდა მიუღებელი. ახლა ამგვარი საინფორმაციო ბაზა შექმნილია და ძალიან ადვილია მიმდინარე ცვლილებების შეტანა. ამის შემდეგ, სისტემის პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა საფინანსო წლის დასაწყისში (ჩვენს შემთხვევაში იანვარში) დამუშავდეს თავდაცვის მინისტრის სახელმძღვანელო დირექტივები მომავალი საფინანსო წლისათვის. დირექტი-

ვებში დასახული პრიორიტეტების საფუძველად ყველა ქვეყანაში, ჩვეულებრივ, განიხილება ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია და სტრატეგია, საფრთხეები და მათგან გამომდინარე სამხედრო მიზნები და ამოცანები. სამწუხაროდ, საქართველოს ჯერ არ აქვს მსგავსი სახელმწიფო დოკუმენტი მიღებული და დამტკიცებული. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამგვარ საფუძველად სამინისტრო იყენებს თავდაცვის "თეთრ წიგნს". სამხედრო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად დგება ოფიცერთა და ჯარისკაცთა სასწავლო და სანვრთნელი საერთო გეგმა. იგი შესასწავლად და საკუთარი ამოცანების დასამუშავებლად გადაეცემა ცალკეულ სტრუქტურულ (ადმინისტრაციულ, საშტაბო, ლოგისტიკურ და სხვ.) ქვედანაყოფებს. იქ გაითვლება მათი კონკრეტული ღონისძიებების შესაბამისი მოთხოვნები და გროვდება შესაბამისი სამსახურში (თავდაცვის რესურსების მართვის სამმართველოში) განხილვის, კორექტირებისა და შემდგომი გადამუშავებისათვის. ისე, რომ ამ გეგმებშია ასახული ჯარის ძირითადი ფუნქციის - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების შესასრულებლად საჭირო პრიორიტეტები, რომლებიც ცალკეული პროგრამების სახით ყალიბდება. შემდეგ გაითვლება ამ პროგრამების განსახორციელებლად აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები, რაც ფინანსური რესურსების მოთხოვნას განსაზღვრავს ყოველი მომავალი წლისათვის. თუ გათვლების შედეგად მიღებულმა საერთო თანხამ დასახულ ზღვარს გადააჭარბა (ეს, ჩვეულებრივ, ასეც ხდება ხოლმე), ამ შემთხვევაში სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობისათვის შესარჩევად მუშავდება რამდენიმე ბიუჯეტის რამდენიმე ვარიანტი. თითოეულ მათგანში ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა პროგრამაზე, მაგ., რადგან მთლიანი ხარჯების გათვალისწინება შეუძლებელია, პროექტის ერთ ვარიანტში მკვეთრად შეიკვეცება საპირო თავდაცვის სისტემის შექმნის პროგრამის ხარჯები, მეორეში - სწრაფი რეაგირების ჩამოყალიბების პროგრამის ხარჯები, და ა.შ. ამგვარად სრულდება აღნიშნული სამმართველოს ერთ-ერთი ფუნქცია, რომლითაც ხელმძღვანელობას უადვილდება გადამწყვეტილების მიღება. დანარჩენი უკვე ბიუჯეტის შემდგენების პროფესიონალიზმის და კარგი კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამის საქმეა. ისე რომ, ბოლო სამი წლის მანძილზე თავდაცვის სამინისტრო მთავრობის წინაშე სრულად და დეტალურად გაანალიზებულ საბიუჯეტო მოთხოვნას წარადგენს. აღნიშნული სისტემა, ერთი მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს და, მეორე მხრივ, უნდა ასახავდეს გარკვეული დოკუმენტებისა და სამუშაო პროცესების ისეთი შედეგების ლოგიკურ და მჭიდრო

საქართველოს სამხედრო ეკონომიკა: ბანკოტარების ობიექტური და ხელოვნური ბარიერები

მათარებელი გვარდია

კავშირს, როგორცაა: 1) ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; 2) ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია; 3) შეიარაღებული ძალების მიზნები და ამოცანები; 4) შეიარაღებული ძალების განვითარების პროგრამა (მოიცავს სახეობების ან ლონისძიებათა ერთობლიობის განვითარებისა და შესრულების ქვეპროგრამებს); 5) საჭირო შეიარაღებული ძალების დაგეგმვა; 6) სამხედრო ბიუჯეტი.

ნესით, უნდა არსებობდეს მოკლევადიანი (ერთწლიანი), საშუალოვადიანი (ხუთ წლამდე) და გრძელვადიანი (10 წლამდე) გეგმები და პროგრამები. მაგრამ ქვეყნის სუსტი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და სისტემის გამო ხშირად მოკლევადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზებიც ვერ კეთდება. არ არსებობს საფინანსო სტრატეგია, რომელიც ქვეყნის თავდაცვის სფეროს განუზღვრავს ხარჯების პროცენტულ თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან, სახელმწიფო ბიუჯეტთან, ცენტრალურ საბიუჯეტო ხარჯებთან და სხვ. თავდაცვის სამინისტროს უნდა შეეძლოს წინასწარ დაგეგმვა, სულ ცოტა, მომავალი ორი წლის საქმიანობისა მინც.

რესურსების მართვა

ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში რომ არის ნაკლოვანებები, რაც ხელისშემშლელია თავდაცვის სამინისტროში დაგეგმვისა და, ზოგადად რესურსების მართვის პროგრესული სისტემის დანერგვის საქმეში. ამაზე მეტყველებს საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის მიერ მომზადებული დოკუმენტი **"საზოგადოებრივი დანახარჯების მიმოხილვა"**.

დოკუმენტი ვკითხულობთ: **"ძალიან დიდი გაურკვევლობაა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი თანხების გაცემის საქმეში"** (შემდგომში, ბრჭყალებში-ციტატები აღნიშნული დოკუმენტიდან).

თავდაცვის სამინისტროს აზრი: გამოცდილებით დასტურდება, რომ გამოყოფილი თანხების გაცემა ხდება პრინციპების გარეშე, თითქმის მთლიანად ემყარება სუბიექტურ მდგომარეობას და პირად გავლენას.

"შემოსავლების ცვალებადობა არ არის პროგრამული დაფინანსების არაპროგნოზირებადობის ასახსნელი ერთადერთი ფაქტორი. ფულადი მასის მოძრაობის სუსტი მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო ერთეულებისათვის გამოყოფილი თანხების არაპროგნოზირებადობის ასახსნაში".

ქვეთავში **"სტრატეგიული დაგეგმვის არარსებობა"** მითითებულია:

1. დაბალი ინტენსივობით ან საერთოდ არ მიმდინარეობს ზოგადსამთავრობო პრიორიტეტების განხილვა. რესურსების განაწილებისათვის ამგვარი სტრატეგიული მოდელის არარსებობა



მოხელე სახალისო ფორმა

ბის გამო შექმნილია ვაკუუმი, რომლის შევსება ხდება დაცული მუხლების კრიტიკიუმით. ერთად აღებული, დაცული მუხლები ცენტრალური ბიუჯეტის 85-90 პროცენტს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტრო: პრიორიტეტების განსაზღვრისა და განხილვის მცდელობა მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს ჰქონდა, როცა საბიუჯეტო უწყებებისაგან ითხოვდა გეგმების წარდგენას სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების სახით. მათ საფუძველზე დგებოდა ქვეყნის ინდიკატური გეგმა, მაგრამ, სამუხარობად, ამ გეგმებს თითქმის არაფერი ჰქონდა და არც ახლა აქვს საერთო შემდგომში დამტკიცებულ კანონთან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. თუ "დაცული მუხლების" კატეგორიის ხანგრძლივად არსებობა სიმბინჯებზე იწვევს ქვეყნის საფინანსო სისტემაში, ეს მით უმეტეს გაუმართლებელია თავდაცვის სამინისტროსათვის. წლების მანძილზე ამ პრინციპით დაფინანსება იწვევს ჯარის მხოლოდ პირადი შემადგენლობის უზრუნველყოფას, დაუფინანსებელი რჩება ჯანსაღი ჯარის არსებობისა და განვითარებისათვის სასიცოცხლო კატეგორიების - მზადყოფნისა და მოდერნიზაციის (კვლევებისა და შემდგომი განვითარების) ხარჯები. გამოდის, რომ სახელმწიფო სახსრების ხარჯვას არ მოჰყვება შედეგი - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნება და ამაღლება, ე.ი. ვაიფლანგება საბიუჯეტო სახსრები.

გარდა ამისა, მხოლოდ "დაცული მუხლებით" მანიპულირება ქმნის დარღვევებისა და კორუფციის არსებს: 1) დარღვევა: ხშირად ხდება უწყებების ბიუჯეტის პროექტში "დაცული მუხლები" ხელოვნური გაბერვა. ბიუჯეტის აღსრულების პროცესშიც თანხები ხაზინიდან გამოდის უმეტესწილად "დაცული მუხლებით", ხარჯვა კი ხდება ოპერატიული საჭიროებების მიხედვით (წვრთნები, ოფისის

ხარჯები, ა.შ.). წლის ბოლოს თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს შორის დიდი გაუგებრობებია ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის, ანუ ბიუჯეტის შესრულების საკითხებში, გვიანდება საფინანსო ანგარიშსწორებების წარდგენა. 2) კორუფცია: ხაზინა ვალდებულია დაიცავს "დაცული მუხლების" პრინციპი, მაგრამ ამავე დროს ხდება თანხების სხვა მუხლებზე გაცემა, რისთვისაც საჭიროა ან გაუთავებელი, ხშირად დამამცირებელი თხოვნა, ან პირადი გავლენა. არსებობს გარკვეული ფარული კარიკატურების საშუალება. გარდა ამისა, ძალიან გართულბულია აღსრულების კონტროლი. ჩვეულებრივი გახდა მიღებული დაფინანსების "დახურული" ხარჯვა ("სოციალური აფეთქების თავიდან აცილების" მიზეზით).

ზემოთ თქმულს ადასტურებს დოკუმენტის შემდეგი ნაწილიც:

2. "ე.ნ. დაცული მუხლები შეფარულად ხელს უშლის სტრატეგიულ საბიუჯეტო დაგეგმვას. "დაცული მუხლების" ამჟამინდელი განსაზღვრის პირობებში ადვილი არ არის ამ მუხლების დაკავშირება კონკრეტულ შედეგებთან. (თავდაცვის სამინისტრო: მაგ., დაცული მუხლების გარეთ რჩება ისეთი აუცილებელი ხარჯები, როგორც არის კომუნალური ხარჯები და კავშირგაბმულობის ხარჯები, ანადა, ეს მიმდინარე ხარჯების აუცილებელი ნაწილია, რაც, თუ სათანადოდ არ დაფინანსდება, მაშინ თავდაცვის სამინისტროს კვლავ გაეზრდება კრედიტორული დავალიანებები ამ სფეროში). ეს ადვილი იქნებოდა სექტორული პროგრამების მეშვეობით. დაცული მუხლების გარდა ძალიან მცირე თანხები რჩება ბიუჯეტში თავისუფალი განკარგვისათვის, რაც ბიუჯეტს კიდევ უფრო მოუქნელი ხდის, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. ცალკეულ ორგანიზაციებს არავითარი სტიმული არ გააჩნიათ თანხების დაზოგვისათ-

ვის, რაც ადვილად მოხერხდებოდა, მაგალითად, კადრების რაციონალიზაციით, ან ორგანიზაციების მიერ საკუთარი ბიუჯეტების ფარგლებში ხარჯების გადახანჯვებით. დღის წესრიგშია ბიუჯეტის მომზადების პროცესში სტრატეგიის ფორმულირების ეტაპის ჩადება და განვითარება, რითაც მოხდება მთელი სახელმწიფო ხარჯების მიზმა სამინისტროების მიზნებსა და პროგრამებთან".

თავდაცვის სამინისტრო: სახელმწიფო ბიუჯეტის აგება "დაცული მუხლების" პრინციპით თავდაცვის სამინისტროს არ აძლევს საშუალებას, რომ ბიუჯეტის განხილვისას სამინისტრომ იმსჯელოს შესასრულებელ მიზნებსა და ამოცანებზე - უბრალოდ, საკითხი ასე არც ისმება ხოლმე. საუბარი ყოველთვის იგება ერთ კონკრეტულ "ზედა ზღვარზე", რომელიც, უმეტესწილად, ემთხვევა ჯარის პირადი შემადგენლობის შენახვისათვის საჭირო ხარჯებს. აქედან გამომდინარეობს საშუალებაც: თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად თავდაცვის სამინისტრო რეფორმების გასატარებლად დააპირებს ჯარის რიცხოვნობის შემცირებას, ამას მოსალოდნელია მოჰყვეს დაფინანსების პროპორციულად შემცირებაც კვლავ "დაცული მუხლების" პრაქტიკის მოშველიებით (არადა, უსაფრთხოების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ რიცხოვნობის შემცირება რეკომენდებულია დაფინანსების უცვლელი დონის პირობებში ჯარის მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად). თავდაცვის სამინისტრომ დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემაზე გადასვლით უკვე შეიქმნა იმის საფუძველი, რომ სტრატეგიის ფორმულირების თანავე შეძლოს ბიუჯეტის აგება მიზნებისა და პროგრამების შესაბამისად (რაც 2003 წლის ბიუჯეტის პროექტში კიდევ უფრო დაიხვეწა) და ამგვარად წარადგინოს განსახილველად. მაგრამ, სამუხარობად, საფინანსო და ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობის გამო მართვის ყველა დონეზე ვაჩენილია აზრი, რომ უწყებრივი ბიუჯეტის ამგვარ ამომწურავ და გამჭვირვალე ფორმაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. ვიმედოვნებთ, რომ პროგრამული ბიუჯეტის ჩვენს მიერ წარდგენილი პროექტი დაარწმუნებს მთავრობას მოთხოვნილი თანხების დამტკიცების აუცილებლობაში. მით უმეტეს, თუ მანამდე შესაძლებელი გახდება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების დადგენა.

პირველ თავში - "ფისკალურ სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა", კერძოდ მის ერთ-ერთ ნაწილში "ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაცია" ვკითხულობთ, რომ "ინფორმაციის კლასიფიკაციების ის ხერხი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო ორგანოების მიერ, მნიშვნელოვნად ართულებს დანახარჯების

კლასიფიცირებას და აქ არსებული ტენდენციების გაანალიზებას".

თავდაცვის სამინისტრო: სამინისტროში უკვე დაიწყო საკითხი საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვის კლასიფიკაციის გადასინჯვის შესახებ იმ არგუმენტის გათვალისწინებით, რომ 1) შეუძლებელია თავდაცვის ხარჯების ასახვა აუცილებელი კატეგორიების შესაბამისად (პირადი შემადგენლობის ხარჯები, ქმედითუნარიანობის (მზადყოფნის) ხარჯები, მოდერნიზაციის ხარჯები). იკარგება ფუნქციონალური ჩრილის არსი. 2) არსებული კლასიფიკაციური თვისი თავში მოიცავს ხარჯების არასწორი, სუბიექტური აღრიცხვის ბევრ ხერხს, 3) გარდა ამისა, არსებული კლასიფიკაციური ვერ პასუხობს სამხედრო ხარჯების აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რის გამოც საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ანუ თავდაცვის ხარჯების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებში ინფორმაციის გაგზავნისას ვაწყვეთ სირთულეებს - საჭირო ხდება დამატებითი სპეციალური სამუშაოების ჩატარება, რათა არსებული კლასიფიკაციის მიხედვით შედგენილი ანგარიშგება (შესრულება) დალაგდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა მოთხოვნის შესაბამისად.

მესამე თავში - "ბიუჯეტის მართვის საკითხები", აღნიშნულია, რომ "ბიუჯეტის საფუძველი უნდა იყოს მთავრობის პოლიტიკის ასახვა სახელმწიფო ხარჯებში. რაც უფრო მეტად განიცდის სახესხვაობას თავდაპირველად განსაზღვრული ასიგნებები წლის ბოლოს ფაქტურ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, მით უფრო ნაკლები სანდოობით ხასიათდება ბიუჯეტი და მით უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დარგობრივმა სამინისტროებმა რაიმე ეფექტური ზომები განახორციელონ ბიუჯეტის მომზადების პროცესში".

თავდაცვის სამინისტრო: "თეთრი ნიგნში" აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არ არსებობს საფინანსო სტრატეგია, რომელიც თავდაცვის სფეროს განუსაზღვრავდა საგეგმო პარამეტრს, ამიტომაც სამინისტროში მაღალია, ერთი მხრივ, დაგეგმილი და, მეორე მხრივ, ფაქტიური ხარჯვის არათავსებადობის, არაშესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის სანდოობის ხარისხიც დაბალია.

თავდაცვის სამინისტრო: ერთგვარი შეჯამების სახით გვსურს დაუზრუნდეთ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს. თავდაცვის სამინისტროში დაწყებულია მუშაობა ქვემოთ აღნიშნული მიმართულებებით და არსებობს შესაბამისი პოტენციალი მათ განსახორციელებლად.

სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესი არ იძლევა მთავრობის ფუნქციონალური პრიორიტეტების განსაზღვრის.. ბაზას;

მათრიცა გავრდიდა

... შემოსავლების სამინისტროს (იმ დროისათვის) საპროგნოზო მონაცემები ნაკლებია ეკონომიკის სამინისტროს ანალოგიურ მონაცემებზე, შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროსი ნაკლებია ეკონომიკის სამინისტროს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე;

- თითოეული სამინისტრო თავად განსაზღვრავს მაქსიმალურ მოთხოვნებს;

- სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი მთავრობის მხარდაჭერით არ სარგებლობს;

- ბიუჯეტის ასიგნებებს განსაზღვრავს თავად ფინანსთა სამინისტრო;

- არ ჩანს ხარჯების ჭეშმარიტი სტრუქტურა;

- სამინისტროები ფაქტიურად აღარ არიან პასუხისმგებელი ისეთ საქმიანობათა და გეგმვასა და გეგმების შემუშავებაზე, რომლებიც მათთვის განსაზღვრულ დაფინანსებას შეესაბამება.

- დაცული მუხლები იგეგმება მოკლევადიანი პერიოდისათვის (არ აისახება, როგორ რეაგირებას მოახდენს ბიუჯეტი კრიზისულ მდგომარეობებში);

- ბიუჯეტის აგების არსებული პრაქტიკა არადაამაკმაყოფილებელ საფუძველს უქმნის სამინისტროებს თანხების სტრატეგიული განაწილებისა და პრიორიტეტების შემუშავების საქმეში (ფაქტობრივად, ეს საქმიანობა არ ხორციელდება);

- სამინისტროებს ბიუჯეტის რაციონალიზაცია და პრიორიტეტების დეტალური განსაზღვრის ნაკლები სტიმული აქვთ;

- არსებული სისტემა აღრმავებს ტენდენციებს, რომ დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი საოპერაციო ხარჯებიდან ხელფასზე იქნას გადატანილი.

- განსხვავება ბიუჯეტიდან მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებელ ღონისძიებებსა და ძირითადი საბიუჯეტო პროცესიდან დასაფინანსებელ საქმიანობებს შორის ფრიად ბუნდოვანია (პროგრამებზე, მათ შედგენაზე განეული ხარჯები ფაქტობრივად არაფექტურია);

- ბიუჯეტის მომზადების პროცესზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს დონორების მიერ დასახული პრიორიტეტები, ხოლო მთავრობა მხოლოდ რეაგირებას ახდენს, არ გამოდის ინიციატივის როლში.

- ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო ბიუჯეტის მომზადებაზე სულ უფრო და უფრო მეტი პასუხისმგებლობის გადაცემა დარგობრივ სამინისტროებზე;

თავდაცვის სამინისტრო: ვფიქრობთ, რომ რეფორმირების ამ ეტაპზე ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლოა აღნიშნულ დოკუმენტში ასახული რეკომენდაციები:

1. სამინისტროების ბიუჯეტების ზედა ზღვრების დაფიქსირების პროცესის გაძლიერება. ბიუჯეტის განაწილება უნდა იყოს მთლიანად მთავრობის პრიორიტეტი. ამისათვის საჭიროა:

- ა) ანალიზის გაღრმავება და მეტი გამჭვირვალობის მინიჭება
- ბ) სამინისტროების მონაწილეობა "ზედა ზღვრების" დადგენაში

გ) "ქვედა დონეების" მონაწილეობის უზრუნველყოფა, "თავისუფალი მოქმედების" შესაძლებლობის დატოვება ნახალი-სების მიზნით.

2. დაცული მუხლების გააზრებისა და გამოყენების რეფორმირება

ა) უნდა გადაიხიწოს დაცული მუხლების განსაზღვრა, რათა უფრო ზუსტად აისახოს წლის განმავლობაში გასანევი საავალდებულო ხარჯები;

ბ) შემცირდეს მთლიან ბიუჯეტში დაცული მუხლების მოცულობა და ნილი; გამოიკვეთოს ისეთი სპეციფიკური ხარჯები, რაც საჭირო იქნება პროგრამული ან პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებისათვის;

გ) ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაარწმუნოს სამინისტროები, რომ წლის განმავლობაში სახსრების გადაცემა დაკავშირებული იქნება პროგრამულ მიზნებთან და ღონისძიებებთან, და არა მხოლოდ ეკონომიკურ კატეგორიებთან (როგორც ეს დღეს ხდება).

3. ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა

ა) ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ რესურსების მთლიანი პაკეტი მიზნობრივი პროგრამებისათვის. ეს დარგობრივ სამინისტროებს საშუალებას მისცემს, რომ მიზნობრივი პროგრამების მომზადებისას იხელმძღვანელონ ხელმისაწვდომი რესურსებით. შესაძლებელია, ფინანსთა სამინისტრომ ეს პროცესი ერთი პილოტური სამინისტროდან დაიწყო, ანუ პირველად პროგრამულ სტრუქტურაზე გადასვლა ერთ-ერთ სამინისტროში განხორციელდეს;

ბ) საინვესტიციო პროექტები: გამჭვირვალობისა და სტრატეგიული განაწილების გადამწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაგეგმოს ერთიანი სისტემაში (უნდა წარდგეს ერთიანი ბიუჯეტი: ადგილობრივი წყაროები+დონორთა დახმარებები).

გ) სპეციალური სახსრები: საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს საკუთარი წყაროებიდან მიღებული შემოსავლების საბიუჯეტო პროცესში სრულად მოცვა (ასახვა და ინტეგრირება). ფინანსთა სამინისტრო მზად უნდა იყოს სანქციების გამოყენებისათვის არასაბიუჯეტო რესურსების დამახინჯებით წარმოდგენაზე.

4. საბიუჯეტო ციკლში წინასწარი, გრძელვადიანი პრინციპით დაგეგმვაზე გადასვლა. მომავალი წლების პარამეტრების დაგეგმვა.

საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩოს დაგეგმვა შესაძლოა ნაადრევი ჩანდეს, მაგრამ მაინც არსებობს. საჭიროებას ორი მიზეზი განაპირობებს:

პირველი - არსებობს ზოგიერთი ისეთი ცვლილება, რომელთა განხორციელება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუძლებელია. სამინისტროებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ მისი ეტაპობრივად განხორციელების ან ალტერნატიულ ღონისძიებების დაგეგმვისათვის;

მეორე - საჭიროა ასეთი მექანიზმების არსებობა: იმ დარგობრივ სამინისტროებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში გარკვეულ სახსრებს დაზოგა-



ფოტო: ახალი მედიის ცენტრი

ვენ, გარანტირებული ჰქონდეთ აღნიშნული დანაზოგის სხვა პრიორიტეტული ღონისძიებებისათვის გამოყენების საშუალება. თუ ეს ასე არ მოხდა, ისინი ნაკლებად იქნებიან დაინტერესებულნი მომავალი წლისათვის პოტენციური საბიუჯეტო დანაზოგების დაგეგმვით.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ შეესაბამება გადაწყვეტილების არსებობის პირობებში თავდაცვის სამინისტროს განსაზღვრული აქვს პირადი შემადგენლობის დაუკომპლექტებლობის შემთხვევებში გამონათვისსუფლებული თანხები მიმართოს საკუთარი საჭიროებებისა და შეხედულებისამებრ (მაგ., პირადი შემადგენლობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, წევრებისათვის, მოდერნიზაციისათვის და სხვ.). ამგვარი გავლენები უკვე არსებობს.

რესურსების რაციონალური დაგეგმვა საქართველოს თავდაცვის სფეროში

ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ექსპერტების აზრით თავდაცვის სისტემის მოწყობას არარაციონალური ხასიათი აქვს. ხდება სხვადასხვა ე.წ. ძალოვან სტრუქტურებში არსებული სამხედრო ქვედანაყოფების სამხედრო პერსონალით შევსება, მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა და განვრთვა, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა, თუმცა თვისობრივად ერთნაირი ოპერაციებისათვის მომზადება, რაც, შესაბამისად, სამხედრო ძალების რიცხოვნობის ხელოვნურ ზრდასა და რესურსების არაეფექტურ ხარჯვას იწვევს.

უცხოელი ექსპერტების შეფასებების მიხედვით, სახელმწიფოში არსებული სამხედრო ქვედანაყოფების სიმრავლე იწვევს რესურსების არაეფექტურ ხარჯვას და აუცილებელია მოხდეს არსებული სტრუქტურების გა-

დასინჯვა მათი ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არსებული სამხედრო სტრუქტურების ძირეულ რეფორმირებაზე, რაც გულისხმობს ძველი საბჭოური მოდელიდან დასავლურ სტანდარტებზე გადასვლას. ამგვარი გარდამავალი პერიოდი თავისთავად ითხოვს გაზრდილ ხარჯებს.

რესურსების დაგეგმვა გულისხმობს სამხედრო უსაფრთხოების მისაღწევად საჭირო რესურსების უთანხმოებსა მიხედვით და ურთიერთდამოკიდებული კომპონენტის: პირადი შემადგენლობის, სამხედრო მზადყოფნისა და ტრანსფორმაციის (მოდერნიზაციის) გავალისწინებას. სწორი მართვა გულისხმობს არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს გავალისწინებას.

ყოველგვარ აზრს მოკლებულია საუბარი იმაზე, რომ ქვეყანას, გარდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობისა, აგრეთვე ეკოპოლიტიკური ასპექტების გავალისწინებით, არ სჭირდება მრავალრიცხოვანი და მძიმე აღჭურვილი ჯარი. შესაბამისად, თავდაცვის ხარჯების დაფინანსების სტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სამხედრო პერსონალის შენახვაზე და ოპერატიულ ხარჯებზე.

საზოგადოდ, თავდაცვის სფეროსათვის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს თანხების განაწილების ქვეყანაში დღეს არსებული წესმა (სახელმწიფო ბიუჯეტის 85-90 პროცენტს შეადგენს სოციალური ხარჯები, ე.წ. "დაცული მუხლების" პრინციპი). არ შეიძლება საერთო მიდგომის მექანიკურად გადატანა ჯარზე. კერძოდ, თუ ეს გამართლებული შეიძლება იყოს ნებისმიერ სფეროში, შეიარაღებულ ძალებში ამ მიდგომას ნულოვანი ეფექტი აქვს.

შეიარაღებული ძალების მი-

ერ დაგეგმილი მოთხოვნა, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის სოციალური მდგომარეობის მცირედ გაუმჯობესებას, ქმედითუნარიანობის არსებული დონის შენარჩუნებას, მზადყოფნის დონის გაუმჯობესებასა და ნაწილობრივ მოდერნიზაციას. ბიუჯეტის პროექტი ასახავს თავდაცვის დაბალანსებულ, ძირითად ერთნაირ პროგრამას, რომელიც საშუალებას მისცემს ჯარს, რომ მომავალ, მოკლევადიან პერიოდში იყოს ქმედითუნარიანი.

ახლო მომავალში ბიუჯეტის პროექტით გავალისწინებულმა რესურსებმა უნდა უზრუნველყოს სისტემაში დანერგული რეფორმების გაგრძელება და ამის შედეგად ჯარის ძირითადი როლის შენარჩუნება - ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება თავდაცვის ბიუჯეტის პროცენტულ მიმართებას ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან (მშპ, საგადასახადო შემოსავლებთან, ხარჯებთან), გასულ წელს თავდაცვის სამინისტრომ ბიუჯეტის პროექტი წარადგინა იმ გათვლით, რომ მისაღები იქნებოდა მიახლოება 1997 წლის მდგომარეობასთან, როცა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 1,7 პროცენტს შეადგენდა. 2002 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგა მშპ-ს ერთი პროცენტის გავალისწინებით (71 მლნ ლარი)! ეს თანხა მოიცავდა პირადი შემადგენლობის ხარჯს 34 მილიონი ლარის ოდენობით და არ გულისხმობდა დაგროვილი დავალიანებების გადახდას. 2002 წლის სამხედრო ბიუჯეტით თავდაცვის სამინისტროს დაუმტკიცდა მხოლოდ 36 მილიონი ლარი. შესაბამისად, მოხდა პირადი შემადგენლობის ხარჯების მკვეთრად, ხელოვნურად შემცირება - კანონებში "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" დაირღვა რიგი პუნქტების მოთხოვნები.

ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების დადებითი ტენდენციის მიუხედავად 1998 წლიდან მკვეთრად მცირდება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება.

პროცენტული დამოკიდებულება თავდაცვის ხარჯებსა და მშპ-ს შორის შესაძლებელია დაფიქსირდეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციამდე. გარდა ამისა, გარდამავალ ქვეყნებში არსებობს გამოცდილება, რომ თავდაცვის ხარჯების მოცულობა წესდება პარლამენტის მიერ მიღებულ სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებშიც, მაგ., ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში. საქართველო "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის (PfP) და "დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის" (PARP) მონაწილე ქვეყანაა. პროგრამაში მონაწილეობის ღონისძიებათა გეგმა გულისხმობს სხვადასხვა ვალდებულების ყოველწლიურ აღებასა და შესრულების ანგარიშს. მიმდინარეობს მუშაობა ნატოს კიდევ ერთ პროგრამაში "განვითარების სამოქმედო გეგმა" (MAP) ჩართვისათვის. გვირ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ჩართვისაკენ ქვეყანას უკვე დაავალდებულებს თავდაცვისათვის მშპ-ს ორი პროცენტის განსაზღვრას.

„მაიკროსოფტის“ სასამართლოში გამარჯვება, შეიძლება, მისი ჰეგემონიის დასასრულად იქცეს

თორნიკე შარაშენიძე

როცა 1982 წელს აშშ-ს მთავრობამ „აიბიემის“ წინააღმდეგ აღძრული ბრალდებები უკან წაიღო, ყველა მიმომხილველი ფიქრობდა, რომ კომპიუტერულ გიგანტს ველარავინ შეაჩერებდა. კომპანიას 13 წლის განმავლობაში – სანამ მის წინააღმდეგ ანტიმონოპოლიური პროცესი მიმდინარეობდა და აქციებიც გვარიანად შეირყა – ვერაფერი დააკლეს კონკურენტებმა და რა საშიშროება შეიძლებოდა შექმნოდა მას პროცესის გასრულების შემდეგ, როცა ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნა? „აიბიემი“ ლიდერი იქნება ყველა სფეროში, სადაც იგი იმუშავებს, დაწყებული პროგრამირებით, დასრულებული თანამგზავრული კავშირებით, – წერდა მაშინ ჟურნალი „ეკონომისტი“. მაგრამ სულ მალე კომპანიის უმთავრესი ბიზნესი – პერსონალური კომპიუტერების წარმოება – უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა, „აიბიემი“ არნახულად შეავიწროვეს მომცრო კონკურენტებმა და, დაახლოებით, ათ წელიწადში გიგანტი ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა. საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველა, როცა კომპანია პროგრამულ უზრუნველყოფასა და სერვისებზე გადაერთო.

ჯერჯერობით, არავის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ იგივე ბედი ელის „მაიკროსოფტს“, რომლის წინააღმდეგაც ახლახან გასრულდა ხუთწლიანი ანტიმონოპოლიური პროცესი. ერთი შეხედვით, პირიქით: „უინდოუსის“ მონოპოლია ახლა ისე ძლიერია, როგორც არასდროს და მისი წყალობით ბილ გეიტსის კომპანიას გლობალური ეკონომიკური კრიზისი პრაქტიკულად არ შეხება. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში პროგრამული გიგანტის მოგებებმა ყველაზე უფრო ოპტიმისტურ პროგნოზებსაც გადააჭარბა. და მაინც, ნუ ვიქიქარებთ დასკვნების გაკეთებას და კიდევ ერთხელ გადავხედოთ ახლო და შორეულ წარსულს.

„მაიკროსოფტი“ მონოპოლიად იქნა გამოცხადებული, რომელმაც რამდენიმეჯერ ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება და აიძულა კონკურენტები მისი თამაშის წესებს დაჰყოლოდნენ. თვის დასაწყისში გამოტანილ განაჩენში კომპანიისათვის თითქოსდა არაფერი იყო საშიში თუკი არ გავითვალისწინებთ ერთ მომენტს – განაჩენს განაჩენის ძალდატანებით განხორციელებულ „მაიკროსოფტის“ დირექტორთა საბჭოს სამმა წევრმა (რომლებიც კომპანიის გარედან უნდა მოვიდნენ) დადგენილების განხორციელებაზე ზედამხედველობის კომიტეტი უნდა შექმნან. გარდა ამისა, დადგენილების სისრულეში მოყვანაზე მონიტორინგს განახორციელებს თავად მოსამართლე კოლინ კოლარ-კოტლი, რომელმაც განაჩენი გამოიტანა. ასე რომ, პროგრამული გიგანტი ოდნავადაც ვერ გადაუხვევს მისთვის დაწესებული ინსტრუქციებიდან – მან სხვა კომპანიებს უნდა გაუზიაროს „უინდოუსის“ კოდი და აღარასოდეს გაიმეორეს ის პრაქტიკა, რომლის წყალობითაც თავის დროზე ასე წარმატებით ჩაძირა თავისი ერთ-ერთი კონკურენტი „ნეთსქეიფი.“



ბილ გეიტსმა გაიმარჯვა

გარდა ამისა, „მაიკროსოფტის“ წინააღმდეგ არაერთი კერძო სარჩელია აღძრული, რომ არაფერი ვთქვათ ევროკომისიის მიერ წარმოებულ გამოძიებაზე, რომელიც ალბათ კოლარ-კოტლის განაჩენზე გაცილებით უფრო მკაცრი დადგენილებით დასრულდება და „მაიკროსოფტი“ იძულებული გახდება გაცილებით მეტი ინფორმაცია გაუზიაროს თავის კონკურენტებს „უინდოუსის“ შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ მაგალითად „სან მაიკროსისტემს“ საშუალება ექნება შექმნას პროგრამა, რომელიც „უინდოუსთან“ ერთად ისევე უპრობლემოდ იმუშავებს, როგორც თავად „მაიკროსოფტის“ პროდუქტები. სხვა კომპანიათა პროდუქტები მხოლოდ იმიტომ არ სარგებლობენ დიდი მოთხოვნილებით ფართო მომხმარებელში, რომ ისინი „უინდოუსთან“ (რომლითაც ალტერნატიული პერსონალური კომპიუტერების აბსოლუტური უმრავლესობა) კარგად არ მუშაობენ. მაგრამ როგორც კი ეს ბარიერი გაქრება, „სანი“ და სხვა კომპანიები „მაიკროსოფტთან“ თანაბარ მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებული, რაც ბილ გეიტსს კიდევ ერთ დიდ ბერკეტს გამოაძლის.

„მაიკროსოფტი“ ახლა, დაახლოებით მართლაც იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც 80-იანებში „აიბიემი“ იყო. ამ უკანასკნელს მთელი ბაზარი ეპყრო თავისი უნივერსალური მანქანებით, მაგრამ ვერ გაითვალისწინა იმის შესაძლებლობა, რომ მის საამაყო პროდუქციას სხვა კომპანიათა

იაფიანი ნაწარმი დაძირავდა. იგივე საფრთხე ელის ახლა ბილ გეიტსის კომპანიას, მითუმეტეს, ინტერნეტის სწრაფი განვითარების პირობებში, რომელსაც ვერავინ აკონტროლებს და რომელიც მომხმარებლებს დიდ არჩევანს აძლევს. ინტერნეტის ღია სტანდარტებმა ბევრ ნიჭიერ პროგრამისტს გაუხსნა ხელ-ფეხი: ბევრმა შექმნა ახალი პროდუქცია, რომელიც გაცილებით უფრო იაფად იყიდება ინტერნეტით (და, შესაბამისად, ყველასთვის ხელმისაწვდომია), ვიდრე „მაიკროსოფტის“ პროდუქცია. სწორედ ინტერნეტის წყალობით ნაშინია „ლინუქსის“ საოპერაციო სისტემა. მართალია, ჯერჯერობით გლობალური მასშტაბებით იგი „უინდოუსის“ საშიშროებას ვერ უქმნის – ეს უკანასკნელი პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე კვლავ უკონკურენტოა – მაგრამ სერვერების ბაზარზე „ლინუქსმა“ უკვე გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ბევრი მთავრობა და მსხვილი კომპანია „უინდოუსს“ ამ პროგრამას არჩევს, რადგან იგი უფრო იაფია და საიმედოც. რა მოხდება მომავალში, როცა „უინდოუსის“ კოდს სხვა კომპანიები აითვისებენ და „ლინუქსი“ ამის წყალობით კიდევ უფრო დახვეწილი და უნივერსალური გახდება?

მოკლედ, „მაიკროსოფტს“ ტრადიციულ ბაზარზე უკვე აქვს გარკვეული პრობლემები და აქ მას არამცთუ პოზიციების გაფართოება გაუჭირდება. არამედ შეიძლება მათი დათმობაც მოუხდეს.

ეს ალბათ მშვენივრად ესმის ბილ გეიტსსაც, რომელსაც თავისი ყურადღება კარგა ხანია სხვა სფეროებსაც მიაპყრო. ეს სფეროები გახლავთ პროგრამული უზრუნველყოფა მობილური ტელეფონებისათვის, ჯიბის კომპიუტერები, ინტერაქტიული ტელევიზია, სათამაშო კონსოლები. მაგრამ ჯერჯერობით ყველა ეს ცდა არც ისე დიდი წარმატებით სრულდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ „უინდოუსის“ მონოპოლია პერსონალური კომპიუტერების ბაზრის ფარგლებს გარეთ არ მუშაობს. ასე ვთქვათ, იოლ ცხოვრებას მიჩვეული „მაიკროსოფტისათვის“ პერსონალური კომპიუტერების ბაზრის გარეთ არსებული ობიექტური ბარიერების დაძლევა იოლი სულაც არ აღმოჩნდა. მობილური ტელეფონების წამყვანმა მწარმოებლებმა გეიტსის პროდუქცია ახლოს არ გაიკარეს, მათ საკუთარი კომპანია შექმნეს – „სიმბიანი“, რომელიც მობილურებისათვის პროგრამებს ქმნის. „მაიკროსოფტი“ ვერც სათამაშო კონსოლებში ბრწინავს – აქ „სონის“ „ფლეისთეიშენი“ მას ამკარავდ ჯაბნის. ჯერჯერობით მხოლოდ ჯიბის კომპიუტერებში იქნა მიღწეული რაღაც წარმატება, მაგრამ ეს სფერო ალბათ არც ისე შემოსავლიანია, რომ მასზე დაიმედება შეიძლებოდეს.

და კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილებზე უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს – ნდობის ფაქტორი. შეიძლება ითქვას, ერთი კვირაც არ გა-

დის, რომ არ გამოჩნდეს ინფორმაცია „მაიკროსოფტის“ პროდუქტში აღმოჩენილი ახალი ხვრელის თაობაზე, რომელიც ჰაკერთათვის მშვენიერი სამიზნეა. ესეც ალბათ მონოპოლისტობის მეორე მხარეა: გეიტსი ყოველთვის ჩქარობდა ხოლმე პროდუქციის გამოშვებას (მითუმეტეს პროცესის დროს, რადგან მოსალოდნელ განაჩენს შეიძლებოდა მისთვის ეს აეკრძალა), რათა კონკურენტებისათვის დაეწნო. გარდა ამისა, ბაზარზე ბატონობამ აშკარად მოაღწია კომპანია და რაღაც საკითხებს ისეთი ყურადღება აღარ ექცეოდა, როგორც საჭირო იყო. ამგვარი პრობლემები 20 წლის წინ „აიბიემს“ წამდვილად არ ჰქონდა.

ყოველივე ეს ყველაზე უკეთ გეიტსის გუნდში ესმით. მათ „აიბიემის“ ისტორიაც მშვენივრად უწყიან და ალბათ უკვე დიდი ხანია გეგმავენ ახალ მიმართულებას თავიანთი კომპანიისათვის. მაგრამ ისიც ვასათვალისწინებელია, რომ ისტორია სულაც არ მეორდება ყოველთვის ერთნაირად – „აიბიემს“ სხვა პრობლემები ჰქონდა, „მაიკროსოფტს“ სულ სხვა პრობლემები ექნება, რომელთა შესახებ ახლა მხოლოდ ვარაუდის გაკეთება თუ შეიძლება. გეიტსს ალბათ ესეც მშვენივრად ესმის და ხვდება, რომ მისი კომპანია ახლა გადამწყვეტი მომენტის წინაშე დგას და მან დროზე უნდა დაინიშნოს მოქმედება, სანამ მისი კომპანია ისევ დიდ მოგებაზე მუშაობს და რეფორმებს ფინანსური პრობლემები არ დააბრკოლებს.

როგორ დავკარბოთ 1 000 000

რამდენიმე წლის წინ საქმიან სამყაროში ყველას ერთი სიტყვა ეკერა პირზე – დოტ.კომ. ამ ჯადოსნურ გამოთქმაში ერთი მარტივი რამ იგულისხმებოდა – საინტერნეტო კომპანია (დოტ – წერტილი, კომ – დაბოლოება, რომლითაც ბოლოვდება საინტერნეტო საიტების მისამართთა უმეტესობა). იმდროინდელი ბიზნესმენის ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს სიტყვა ისე ხშირად ჰპოვებდა გამოყენებას, როგორც, მაგალითად უხერხული შედარებისათვის და, “ჩემი დედა” ჰპოვებს გამოყენებას ქუჩაში მდგარი თბილისელი ბიჭების ყოველდღიურ ცხოვრებაში. დოტ.კომმა დაიპყრო საქმიანი სამყაროს გონება და გული. ყოველდღიურად სამყაროს ათასობით ახალი საინტერნეტო კომპანია ევლინებოდა, რომელთა აქციებიც ისეთ სიმალღებებზე ადიოდა, რომ როკ-ფელერები და მორგანები ალბათ, საფლავებში ბრუნავდნენ: რა მინდოდა წვეწებში (ამ შემთხვევაში ნავთობსა და საბანკო საქმეში?), დავბადებულყავი ცოტათი გვიან და დამეარსებინა რაიმე დოტ.კომით.

დიახ, რადგან საინტერნეტო ბიზნესი მომავლის ბიზნესად იყო მიჩნეული. ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და აქედან გამომდინარე ალბათ, მართლაც არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ დოტ.კომი მომგებიანი იქნებოდა. **“მომავალი ინტერნეტისა – გაიგონებდი მაშინ – უკვე არსებობს ელექტრონული კომერცია, არსებობს ელექტრონული განათლება (კურსები ინტერნეტის მეშვეობით, ყალიბდება ელექტრონული მთავრობა... მეტი რა გინდათ?”**

დოტ.კომის ბუმმა ბევრი გამოცდილი ბიზნესმენი დააბრმავა და ვინ მოთვლის, რამდენმა ჩაყარა დიდი რუდუნებით ნაშოვნ მილიონები ახლად გამოჩეკილი საინტერნეტო კომპანიის აქციებში. თუმცა, ძნელია ისინი გაამტყუნო: დოტ.კომის აქციები დღითიდღე ძვირდებოდა და ყველა დასწრებაზე იყო - ფული თუ გამოგიჩნდებოდა, საინტერნეტო კომპანიებში უნდა დაგებანდებინა. ცხადია, ისეთებიც იყვნენ, ვინც კარგად აულო ალო ვითარებას და ხვალისდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი არჩია. თუმცა, კვერცხი ისეთი იყო, უკეთესს ვერ ინატრებ. ერთი ჩემი ნაცნობი ამერიკელი სიამაყით ყვება, როგორ იშოვა მისმა მეგობარმა დოტ.კომის ბუმის დროს ცხრა მილიონი დოლარი. იგი თავის მოხუც ბიძას დაუკავშირდა და ფულს ესესხა – დიდ თანხაზე არ იყო საუბარი, ისეთ თანხაზე, რომელიც კომპანიის დაარსების, გაფორმებისა და ოფისის ყიდვისათვის იყო საჭირო. ბიძამ უარი არ უთხრა და თავადაც კარგად იხეირა. მისმა ძმის-



დაკარგული მილიონები

წულმა დოტ.კომ კომპანია დააარსა, აქციები მთლიანად გაყიდა და 10 მილიონიც ჩაიჯიბა. მილიონი ბიძას გაუგზავნა, დანარჩენი კი ხახვივით შერჩა, რადგან ერთ წელიწადში აქციები ხახვის ფურცელივით გაუფასურდა, მაგრამ მას ეს ამბავი, ცხადია, ყველაზე ნაკლებად ალელვებდა. აი, მის აქციონერებზე კი რა მოგახსენოთ. უბედურება კი ის გახლდათ, რომ ასეთი შემთხვევები ოხრად იყო – დოტ.კომები, სულ მალე საპნის ბუშტივით გასკდა, ბუმმა ერთბაშად გადაიარა. ერთ

მშვენიერ დღეს საქმიანმა სამყარომ გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ საინტერნეტო ბიზნესი არც ისე პერსპექტიული იყო, როგორც ეგონათ და ამდენი ფულის ჩაყრა ამ საქმეში ნამდვილად არ ღირდა. მართლაც, ვის მოუვიდა თავში, რომ ინტერნეტი ნავთობზე ან საბანკო საქმეზე მეტს მოიტანდა? ასე უცებ მოსკოვი ვის აუშენებია.

მოკლედ, ეს გაღვიძება იყო და დოტ.კომები ხუხულასავით დაიფშვნა. ვინმე მისტერ სმითის ქონება გუშინ თუ ორ მი-

ლიარდ დოლარად იყო შეფასებული (მას ერთ დოტ.კომში აქციათა 10 პროცენტი ჰქონდა, რაც ერთი მილიარდი ღირდა, მეორე დოტ.კომში კიდეც 15 პროცენტი, რაც კიდეც ერთ მილიარდად იყო შეფასებული), ახლა 90 მილიონი დოლარი თუ ჰქონდა შერჩენილი. 90 მილიონი ცოტა არაა, მაგრამ რა ხასიათზე დადგებით, როცა მილიარდ ცხრაასათ მილიონ დოლარს (2 მილიარდს მინუს 90 მილიონი) დაკარგავთ.

კიდეც უფრო “უკეთეს” დღეში დიდი კომპანიები აღ-

მოჩნდნენ, რომლებიც ბუმს აყენენ და თავიანთი ბედი ზედმეტად მიანდეს დო.კომებს. ამ მხრივ გამორჩეული “თაიმ უორნერის” მაგალითია. უძველესი კომპანია, რომლის ბიზნესი მოიცავდა კინოს (ჰოლივუდის სტუდია “უორნერ ბრახერს”), გამომცემლობას (ყურნალი “ტაიმსი”), სატელევიზიო მაუწყებლობას (“სიენენი,” “ქართუნ ნეთუორქი.” “ტისიემი”) ხმის ჩამწერ ინდუსტრიას და კიდეც ვინ მოთვლის, “ამერიკა ონლაინთან” გაერთიანდა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ მოვევლინა ამ ქვეყანას და რადგან აშშ-ს მთავარი საინტერნეტო პროვადერი გახლდათ, მასთან გარიგება “თაიმ უორნერის” აქციონერებმა ტაშის გრილით აღნიშნეს და მათი საუკუნოვანი ბიზნესი ახლადგამოჩეკილი დოტ.კომის ხელში გადავიდა. ტაშის გრილი ძალიან მალე ჩაცხრა, რადგან აშშ-ს მთავრობას გარიგება აპრობირებულიც არ ჰქონდა, “ამერიკა ონლაინის” აქციებმა დაცემა რომ იწყო და აპრობირებისას ისინი ისე დაეცა, რომ “თაიმ უორნერი”, ალბათ, უკვე მწარედ ნანობდა და აქციონერები იმას ნატრობდნენ, მთავრობას გაერთიანება დაებლოკა, მაგრამ ვერ მოგართვეს – გარიგება შედგა და მიმდინარე წელს გაერთიანებულმა გიგანტმა (“ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერი” რომ ეწოდა) დოტ.კომის კრახის სიმძიმე ყველაზე მწარედ იწვინა – კომპანიამ მეორე კვარტალში 54 მილიარდი დოლარი იზარალა, რაც უდიდესი კორპორაციული ზარალი გახლავთ ბიზნესის ისტორიაში. ცხადია, ეს “მიღწევა” “ამერიკა ონლაინის” ბიზნესის ხარჯზე მოხდა და “უორნერ ბრახერსის” მიერ გადაღებულმა “ჰარი პოტერმა” (ამ ფილმმა ერთი მილიარდი დოლარის მოგება მოიტანა, რაც ჰოლივუდისთვისაც კი საარაკო მაჩვენებელია) საქმეს ვერაფრით უშველა.

მოკლედ, დოტ.კომი მწარე გამოცდილებად იქცა ყველასათვის. თუმცა, არა ყველასათვის, რადგან ერთის მიერ გადაყრილი ფული მეორეს ჯიბეში აღმოჩნდა (თუნდაც, იმ ჩვენი ნაცნობი ბიძა-ძმისწულის) და მავანმა ყველაფერ, ამით ძალიან იხეირა. სრულიად საქმიან სამყაროს კი კიდეც უფრო გაუმყარდა რწმენა ამერიკის ფედერალური რეზერვების (იქაური ცენტრალური ბანკის) მიმართ, რამეთუ, ალბათ, ერთადერთი ავტორიტეტი, ვინც დოტ.კომის კრახს წინასწარმეტყველებდა, ფედერალური რეზერვების პრეზიდენტი აღენ გრინსპენი გახლდათ. მაინც რა ხალხი ჰყავთ, ვერაფერს იტყვი, ახლა ალბათ ნაწილობრივ გასაგებია, რატომაცაა ამერიკა ასე ძლიერი. მაგრამ ისე, ხომ წარმოიდგენიათ გრინსპენის გადადგომის შემდეგ რა პანიკა დაიწყება საქმიან სამყაროში. პანიკაზე ცუდი კი რა უნდა იყოს, ალბათ, მხოლოდ უსაფუძვლო ბუმი.